# სარბიელი

სპორტული გაზეთი შაბათი 10 ივნისი 2006 №131 (2753) ფასი 50 თეთრი


# მეთვრამეტეს პირველი მეთვრამეტემ გაუშვა



ყველაფერი გაორმაგდა და ყველაფერი პირველადაა.

აქამდე გახსნის მატჩებში გოლების მაქსიმუმი სამი იყო და ახლა ერთბაშად ექვსი გავიდა.

მიროსლავ კლოზესა და პაულო ვანჩოპემდე ვერავის გაეტანა გახსნის მატჩში დუბლი.

ფილიპ ლამი უყრმესი მეგოლეა გახსნის მატჩებისა.

1970 წლის შემდეგ პირველად მოხდა, რომ ჩემპიონატი ჩემპიონის მაგიერ მასპინძელი ქვეყნის ნაკრების თამაშით იხსნება.

გერმანია — კოსტა რიკა 4:2. ხოსე პორასი მსოფლიოს ჩემპიონატს ფეხებაწეული შეხვდა

# ჟურნალისტებმა თავისი და კახა კალაძის თქვეს



კახა კალაძე „სარბიელის“ პრიზს გაუშინაურდა



## მარცვალაძის საუკეთესო წრე

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

## A ჯგუფი. I ტური

### პოლონეთი 0:2 ეკვადორი

№2. 9 ივნისი. 23.00. გელზენკირხენი. „აუფ შალკე". 60 000 მაყურებელი

0:1 კ. ტენორიო (24), 0:2 დელგადო (80)

1 ბორუცი

მწვრთნელი
პაველ იანაში

6 ბაკი
2 იოპი
4 ბაშჩინსკი
14 ჟევლაკოვი

8 კრჟინოვეკი
7 სობოლევსკი
16 რადომსკი
10 შიმკოვიაკი

15 შმოლარეკი

9 ჟურავსკი

11 დელგადო

21 კ. ტენორიო
16 ვალენსია
8 ე. მენდესი

14 კასტილიო
18 რეასკო
20 ე. ტენორიო

17 ესპინოზა
3 ურტადო
4 დე ლა კრუზი

მწვრთნელი
ლუის სუარესი

12 მორა

შეცვლა: კ. ტენორიო – 10. კავიედესი (65), სობოლევსკი – 21. იელენი (67), ურტადო – 2. გუაგუა (69), კრჟინოვეკი – 5. კოსოვსკი (78), დელგადო – 6. ურუტია (83), ჟურავსკი – 23. ბროჟეკი (83)

გაფრთხილება: ურტადო (31), შმოლარეკი (37), მენდესი (70)

მსაჯები: ტორუ კამიკავა;
იოშიკაცუ ჰიროშიმა (იაპონია), დაე იონგ კიმი (სამხრეთ კორეა)

| | | |
|---|---|---|
| 9 | ჯარიმა | 15 |
| 11 | კუთხური | 2 |
| 7 | კარისკენ დარტყმა | 10 |
| 3 | კარში დარტყმა | 6 |
| 3 | თამაშგარე | 2 |

# ეკვად-ორთან პოლო-ნულია



**ჯერ ის** გავიხსენოთ, რომ ეკვადორმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევ ჯგუფში ბრაზილიისა და არგენტინის შემდეგ მესამე ადგილი დაიკავა. ჰოდა, ასეთი გუნდი ყველასთვის ანარიშგასაწევი უნდა იყოს.

ეკვადორი ზედიზედ მეორედ თამაშობს მსოფლიოს ჩემპიონატზე. ოთხი წლის წინანდელ ამბავს თუ ამოვქექავთ, ვნახავთ, რომ სამხრეთამერიკელებმა მაშინ ჯგუფის ბოლო მატჩში ხორვატიას 1:0 მოუგეს, ხორვატია კი ევროპული ნაკრებია, ისევე როგორც პოლონეთი. მოკლედ, იმის თქმა გვინდა, რომ მცირე ისტორია შეიქმნა — ეკვადორმა მსოფლიოს ჩემპიონატებზე ევროპულ გუნდთან ზედიზედ მეორედ მოიგო.

პოლონეთთან შეხვედრის წინ ეკვადორელთა ნაკრების მწვრთნელმა ლუის სუარესმა განაცხადა, გერმანიაში ტურისტებად არ ჩამოვსულვართო. ჯერჯერობით ასეცაა. გუნდმა გამართული ფეხბურთი ითამაშა და პირველ ტურში მოიგო.

პოლონელთა მწვრთნელი იანაში ერთი თვის წინ ლეგენდარულ ზბიგნევ ბონეკს, ეტყობა, ტყუილად არ გაუკრიტიკებია. პაველ იანაშმა მეკარე დუდეკი და ფორვარდი ფრანკოვსკი არ წაიყვანა გერმანიაში. ერთი თავდამსხმელით, მაცეი ჟურავსკით ითამაშა ეკვადორთან და აქედან არაფერი გამოვიდა.

გოლი, რომელიც სამხრეთამერიკელებმა 24-ე წუთზე გაიტანეს თავისებური იყო. აუტიდან გადაგდებულ ბურთი დელგადომ თავით ტენორიოს გადაუგზავნა და მანაც თავით მარჯვენა კუთხეში ზუსტად დაჰკრა. გოლის თავისებურება კი ისაა, რომ აუტიდან მოწოდების შემდეგ მიწას არ შეხებია, სანამ კარის ხაზს შიგნით დაეცემოდა.

ტენორიოს გოლამდე თამაში, თითქოს, უფრო პოლონელების იყო, მაგრამ სახიფათო მომენტები ვერ შექმნეს, ხოლო ეკვადორელთაგან ერთხელ კასტილიომ დაჰკრა დაახლოებით 25 მეტრიდან და ბორუცმა იოლად მოიგერია.

მეორე ტაიმის დასაწყისში პოლონელებმა გაიტანეს — შიმკოვიაკმა შეაგდო, მაგრამ მისი სიხარული თანამსაჯის აწეულმა დროშამ გაანელა, რადგან თამაშგარე მდგომარეობა აღნიშნა. ამის შემდეგ ეკვადორელთა კაპიტანმა ივან ურტადომ იხსნა გუნდი გოლისგან, როცა შიმკოვიაკის დარტყმულს გადაელობა.

გასათანაბრებლად მომართულ პოლონეთს ზურგი უშიშვლდებოდა და შეხვედრის დასრულებამდე ათი წუთით ადრე მეორე გოლი გაუშვა. ივან კავიედესის პასით დელგადომ გაიტანა. ევროპელები გააფთრებით უტევდნენ ბოლო წუთებში და ეკვადორელთა კარის ძელიც შეატოკა ბურთმა, მაგრამ სულ ეს იყო, რაც პოლონეთმა შეძლო.

პოლონელებმა ეს ჩემპიონატიც ოთხი წლის წინანდელივით დაიწყეს, მაშინ პირველ მატჩში სამხრეთ კორეასთან 0:2 დამარცხდნენ.

„მოვიგეთ, მაგრამ ამაზე არ შევჩერდებით — თქვა აუგუსტინ დელგადომ — ჩვენს ქვეყანაში ზეიმობენ, თუმც უფრო მეტი მიზეზი უნდა მივცეთ. კარგად ვითამაშეთ და ორი გოლიც ამის სანაცვლოდ მიღებული ჯილდოა".

პაველ იანაში: „უმძიმეს მდგომარეობაში აღმოვჩნდით, თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ მომდევნო შეხვედრა გერმანიასთან გველის. ეს წაგება უნდა დავივიწყოთ და ვიფიქროთ მომავალ თამაშზე. ფეხბურთელებმა ვერ შეასრულეს ჩემი დავალება. ყველამ ცუდად ითამაშა. მიზეზს გავარკვევთ და სათანადო დასკვნებს გამოვიტანთ".

იაცეკ კრჟინოვეკი: „ცუდად ვითამაშეთ. ეს ყველამ ნახა. ახლა სრული მობილიზება გვჭირდება გერმანიასთან მატჩისთვის, ეკვადორს კი სულ ორი შანსი ჰქონდა და ორივე გამოიყენა".

**კოტე კეკელია**







თავპირშეღებილი ქომაგი ამაოდ ითხოვდა გოლს

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

## A ჯგუფი. I ტური

# კლინსმანმა ბიჭები ლუდის მოსატანად გაუშვა



**1983 წლის** 11 ნოემბერს მიუნხენში დაიბადა ფილიპ ლამი, რომელმაც გუშინ ჩემპიონატის გახსნის მატჩში პირველი გოლი გაიტანა. გოლის გატანა თავისთავად საკვირველი არაა, მაგრამ ლამი ყველაზე ახალგაზრდაა მათ შორის, ვისაც გახსნის თამაშში გაუტანია. გახსნის მატჩი კი ფიფამ 1966 წლიდან დააწესა.

ფილიპ ლამი მარჯვენა ფეხით უკეთ თამაშობს და ბალღობიდან მარჯვენა ფლანგზე იყო, მაგრამ, როგორც კი „ბაიერნში" მივიდა, მარცხნივ მიუჩინეს ადგილი, ბიქსენტ ლიზარაზუს შემცვლელი იქნებიო. მარცხნივ მის გადასვლას კი ასე ხსნიან: მოედნის შუისკენ შესვლისას ძალიან ეფექტურია და მარჯვენა ფეხით კარგად ურტყამსო.

ასე აგიხდეთ ყველაფერი — ფილიპ ლამი მარცხნიდან შევიდა და მასზე 13 წლით უფროს ხოსე პორასს მარცხენა მაღალ კუთხეში საუცხოო გოლი გაუტანა.

გერმანელთა სიხარულმა ექვს წუთს გასტანა, რაკი პაულო ვანჩოპემ თამაშგარე მდგომარეობის შექმნისას გამოიჭირა ბალაკისგან ნაძაგები დაცვა და იენს ლემანი უშანსოდ დატოვა. მაგრამ მასპინძლებმა ხუთ წუთში ისევ წამოყარეს ფეხზე „ალიანს არენაზე" მსხდომნი. ბასტიან შვაინშტაიგერმა კარის ხაზის გასწვრივ გაასრიალა ბურთი, რომელსაც მიროსლავ კლოზემ ფეხი დაუხვედრა და თავისიანები კვლავ დააწინაურა.

კლოზემ იყოჩაღა მეორე ტაიმშიც, როცა მეკარის მოგერიებულს საგოლედ დაამატა და სხვაობა ორამდე გაზარდა. აქვე ვთქვათ, რომ 1966 წლიდან გახსნით მატჩში სამ გოლზე მეტი არ გასულა და ზღვარს გუშინ გადააბიჯეს. სამი გოლი 1998-ში ბრაზილია — შოტლანდიის შეხვედრაში გავიდა, რომელიც სამხრეთამერიკელებმა 2:1 მოიგეს. იმის უთქმელობაც არ ეგების, რომ გახსნითი მატჩების ისტორიაში პირველი დუბლის ავტორიც მიროსლავ კლოზე შეიქნა, ვისაც გვერდით პაულო ვანჩოპე ამოუდგა, რადგან კლოზეს მეორე გოლიდან 12 წუთში კოსტარიკელთა ფორვარდმა კიდევ ერთხელ შეამცირა სხვაობა.



AFP მიუნხენიდან

ოთხი წლის წინაც და ახლაც, გერმანიის გოლები მიროსლავ კლოზემ გაიტანა

ბოლოს კი იყო ტორსტენ ფრინგსის ბრწყინვალე გოლი, რომელმაც ლამის ოცდაათი მეტრიდან უზუსტესად გაისროლა და ცხრიანში შეჭედა ბურთი.

„თქვენ უნდა გენახათ, რა ხდებოდა გასახდელში და როგორ იწევდნენ ბიჭები საბრძოლველად. ერთი ნაბიჯი წინ უკვე გადავდგით. ახლა შეუძლიათ ლუდი მიირთვან, მაგრამ მეორე მატჩისთვის ისევ მზად უნდა იყვნენ" — თქვა კლინსმანმა, ხოლო კლოზემ, ვისაც გუშინ 28 წელი შეუსრულდა, განაცხადა: „პირველი მატჩი ყოველთვის რთულია, ჩვენი ბრალი იყო, ორი გოლი რომ გაგვიტანეს, მაგრამ მიხარია, ჩემი ორი გოლიც. დაბადების დღეზე უკეთეს საჩუქარს ვერც ვინატრებდი".

**ვაჟა ხუციშვილი**

## გერმანია 4:2 კოსტა რიკა

№1. 9 ივნისი. 20.00. მიუნხენი. „ალიანს არენა". 72 000 მაყურებელი

1:0 ლამი (6), 1:1 ვანჩოპე (12), 2:1, 3:1 კლოზე (17, 61),
3:2 ვანჩოპე (73), 4:2 ფრინგსი (87)

1 ლემანი

მწვრთნელი იურგენ კლინსმანი

3 ფრიდრიხი, 21 მეცელდერი, 17 მერტესაკერი, 16 ლამი

19 შნაიდერი, 8 ფრინგსი, 18 ბოროვსკი, 7 შვაინშტაიგერი

11 კლოზე, 20 პოდოლსკი

11 რ. გომესი, 9 ვანჩოპე

6 ფონსეკა, 12 ლ. გონსალესი, 10 სენტენო, 20 სეკეირა

8 სოლისი, 4 უმანა, 3 მარინი, 5 გ. მარტინესი

მწვრთნელი ალეშანდრე გიმარაეში

18 პორასი

შეცვლა: მარტინესი – 2. დრუმონდი (66), ბოროვსკი – 5. კელი (72), სოლისი – 7. ბოლანოსი (78), კლოზე – 10. ნოივილი (79), გომესი – 14. აზოფეიფა (90), შნაიდერი – 22. ოდონკორი (90)

გაფრთხილება: ფონსეკა (30)

მსაჯები: ჰორაციო ელიზონდო; დარიო გარსია, როდოლფო ოტერო (არგენტინა)

| | | |
|---|---|---|
| 11 | ჯარიმა | 15 |
| 7 | კუთხური | 3 |
| 21 | კარისკენ დარტყმა | 4 |
| 10 | კარში დარტყმა | 2 |
| 3 | თამაშგარე | 3 |

საქართველოს ტელეკომი
TELECOM GEORGIA

დაბალი ტარიფები საქალაქთაშორისო და მობილურ საუბრებზე

დარეკეთ ქალაქის ტელეფონიდან მაგთიზე და ჯეოსელზე 25 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება თბილისის მასშტაბით)

საქართველოს რეგიონებში 12 თეთრად
(ტარიფი ვრცელდება საქართველოს მასშტაბით)

დროის ნამრავლი არ იზღუდება

აკრეფვის წესი:
მობილურ ტელეფონზე დასარეკად
8-100+ მობილური ოპერატორის კოდი (99,98,95;77,93,55)
+აბონენტის ნომერი
საქართველოს რეგიონებში
8-100+ ქალაქის კოდი+ აბონენტის ნომერი

8-100

ისაუბრეთ მეტი, გადაიხადეთ ნაკლები

რუსთაველის გამზ. 31 ტელ.: 442828 www.telecom.ge

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## B ჯგუფი. I ტური





AFP

# ერიკსონის მოცეკვავე რობოტი

### ინგლისი — პარაგვაი

დღეს. ფრანკფურტი. „ვალდშტადიონი“. 17.00

| ინგლისი | პარაგვაი |
|---|---|
| 1. რობინსონი; 2. ნევილი, 5. ფერდინანდი, 6. ტერი, 3. ე. კოული; 7. ბექემი, 4. ჯერარდი, 8. ლამპარდი, 11. ჯ. კოული; 10. ოუენი, 21. კრაუჩი<br>მწვრთნელი: სვენ გორან ერიკსონი | 1. ვილიარი; 21. კანისა, 5. კასერესი, 4. გამარა, 3. ტოლედო; 6. რივეროსი, 10. აკუნია, 13. პარედესი, 6. ბონეტი; 18. ვალდესი, 23. კუევასი<br>მწვრთნელი: ანიბალ რუისი |

მსაჯი: მარკო როდრიგესი (მექსიკა)

**მთელი** ინგლისი გახარებულია. უეინ რუნი გერმანიაში გაემგზავრა და წესით, მერვედფინალიდან თამაშის საშუალებაც ექნება. თუმცა იქამდე სვენ გორან ერიკსონის შეგირდებს ჯგუფური ეტაპი აქვთ დასაძლევი, რაზეც ზრუნვა პარაგვაისთან მატჩიდან უნდა დაიწყონ. შესაბამისად, ახლა მთავარი ყურადღება რუნიზე კი არა, აყლაყუდა პიტერ კრაუჩზეა გადატანილი, რომელიც „მანჩესტერ იუნაიტედის“ ტრავმირებული ფორვარდის ნაცვლად, თავდასხმაში მაიკლ ოუენის მეწყვილე იქნება.

„მოცეკვავე რობოტს“, როგორც კრაუჩს შეარქვეს, თავიდან ბევრი ალმაცერად უყურებდა, რადგან არ სჯეროდათ, უსაშველოდ მაღალ და გამხდარ ფეხბურთელს სასარგებლოდ თამაში თუ შეეძლო. თუმცა „საუთჰემპტონის“ ყოფილი თავდამსხმელი ნელ-ნელა „ლივერპულსაც“ შეეწყო და ნაკრების ბოლო სამ ამხანაგურ მატჩში 5 გოლი შეაგდო. ახლა კრაუჩის სჯერათ და ძალიან ეიმედებათ. მას თავით გოლების გატანის გარდა, ფეხითაც ძალუძს მეტოქის დამწუხრება და, რაც მთავარია, თანაგუნდელებს მომენტებსაც კარგად უქმნის.

„იმედია, პარაგვაელებს კრაუჩისნაირი ფეხბურთელი არასოდეს შეხვედრიათ, რაც დამატებით უპირატესობას მოგვცემს. პიტერს ყოველდღიურად ვაკვირდები და ვიცი, რა ნიჭიერია. თუ თავისი შესაძლებლობების გამოვლენას მოახერხებს, მეტოქეს ძალიან ბევრი პრობლემა ექნება“ — თქვა „ლივერპულის“ კაპიტანმა და ინგლისელთა ერთ-ერთმა ლიდერმა სტივენ ჯერარდმა.

პარაგვაის მწვრთნელი ანიბალ რუისი:

„პიტერ კრაუჩი ჩემთვის გამოცანაა. მისი დარი მოთამაშეები ძალიან იშვიათია და ფრთხილად უნდა ვიყოთ. თუმცა განწყობა საბრძოლო და ოპტიმისტურია. რა თქმა უნდა, მეტოქეს დიდ პატივს ვცემთ, რასაც იმსახურებს კიდეც, მაგრამ გვჯერა, გამარჯვების მოპოვება შეგვიძლია. ინგლისელები დაწვრილებით გვყავს შესწავლილი“.

მცირე ტრავმები აქვთ დევიდ ბექემს, ეშლი კოულსა და ჯერარდს, მაგრამ სამივე მათგანი ითამაშებს. პარაგვაელთა ვეტერანმა ფორვარდმა ხოსე კარდოსომ სერიოზული ტრავმა რომ მიიღო და ცოტა ხნის წინ დანტე ლოპესით შეცვალეს, ალბათ, იცით. დაშავებულია მეორე წამყვანი თავდამსხმელი როკე სანტა კრუზიც, მაგრამ იგი, ალბათ, შეცვლაზე შევა. სამხრეთამერიკელები 4-4-2-ით აპირებენ დაწყებას. თუმცა, თუ საქმე მოითხოვს, ანიბალ რუისი მოედანზე ახალგაზრდა და ნიჭიერ ნახევარმცველ ხულიო დოს სანტოსს შეუშვებს. ანუ 4-5-1-ზე გადაეწყობა. ინგლისელები ტრადიციული 4-4-2-ით ითამაშებენ.

საინტერესოა, რომ გასული ორი მსოფლიო ჩემპიონატიდან ინგლისი ლათინოსებმა გაუშვეს დროზე ადრე სახლში. 1998 წლის მუნდიალზე არგენტინამ, ხოლო 4 წლის მერე ბრაზილიამ. ამას თუ ევროპის 2004 წლის ჩემპიონატზე პორტუგალიასთან მარცხს დავუმატებთ... პარაგვაიც თავისთავად ლათინურია, მაგრამ შედარებით დაცვაზე ორიენტირებულ ფეხბურთს თამაშობს, ვიდრე ზემოთ ხსენებული ნაკრებები.

„დღევანდელი ნაკრების 2002 და 2004 წლის გუნდებთან შედარება არ შეიძლება. ახლა ბევრად თვითდაჯერებულნი ვართ. რუნის გარდა ტრავმები არავის აწუხებს და განწყობა ოპტიმისტურია“ — თქვა ინგლისელთა შვედმა თავკაცმა სვენ გორან ერიკსონმა.

ვთქვათ ისიც, რომ პარაგვაელებს ექვს მუნდიალზე უთამაშიათ. 1950 წელს ერთი მატჩის მოგებაც ვერ შეძლეს, ხოლო მერე თითო-თითო გამარჯვება მოიპოვეს.

აქამდე ინგლისი და პარაგვაი ერთმანეთს ორჯერ შეხვედრიან. 1986 წლის მუნდიალზე მერვედფინალში ევროპელებმა 3:0 მოიგეს, ხოლო 2002 წელს ლივერპულში გამართულ ამხანაგურ მატჩში — 4:0.

**გიორგი ქაქაბაძე**

# ინგლისურ ბანკში ტრინიდადელი მუშაობს

### ტრინიდადი — შვედეთი

დღეს. დორტმუნდი. „ვესტფალენშტადიონი“. 20.00

| ტრინიდადი | შვედეთი |
|---|---|
| 1. ჰისლოპი; 4. ენდრიუსი, 6. ლოურენსი, 3. ე. ჯონი, 8. გრეი; 7. ბირჩალი, 9. უიტლი, 11. ედვარდსი, 15. კ. ჯონსი; 19. იორკი, 14. შ. ჯონი<br>მწვრთნელი: ლეო ბეენჰაკერი | 12. ოლბაჯი; 14. შტენმანი, 4. ლუკიჩი, 3. მელბერგი, 5. ედმანი; 9. ლიუნგბერგი, 6. ლინდეროტი, 19. დ. ანდერსონი, 21. ვილჰელმსონი; 10. იბრაჰიმოვიჩი, 11. ლარსონი<br>მწვრთნელი: ლარს ლაგერბეკი |

მსაჯი: შამსულ მაიდინი (სინგაპური)

**შვედეთის** ნაკრები მუნდიალის დებიუტანტისა და ყველაზე სუსტ მონაწილედ მიჩნეული ტრინიდად და ტობაგოს გასანადგურებლად ემზადება. გამორიცხული არ არის, ამ ჯგუფში საქმე ბურთების სხვაობამდე მივიდეს და რაც უფრო დიდი სხვაობით იმარჯვებენ სკანდინაველები, მათთვის უკეთესი იქნება. შვედებს გამარჯვებაში ეჭვი არ ეპარებათ.

ლარს ლაგერბეკი კი მაინც ფრთხილობს: „მთავარია, გოლის გატანის საშუალება არ მივცეთ, განსაკუთრებით დებიუტში. მეტოქეს ჩვენი, ანუ სწრაფი თამაში უნდა მოვახვიოთ თავს“.

ევროპიდან მუნდიალზე მოხვედრილ ნაკრებებს შორის შვედეთი ყველაზე შედეგიანია. სკანდინაველებმა საკვალიფიკაციო ეტაპზე 10 მატჩში 30 გოლი შეაგდეს და ოდენ 4 გაუშვეს. ტრინიდადელთა ჰოლანდიელი მწვრთნელი ლეო ბეენჰაკერი ფიქრობს, რომ ფრედი ლიუნგბერგის, ზლატან იბრაჰიმოვიჩისა და ჰენრიკ ლარსონის შეჩერებას გამოცდილ მცველ მარვინ ენდრიუსით შეძლებს.

„ჩემთვის მარვინი ისეთივე საიმედოა, როგორც ინგლისური ბანკი. იგი თამაშში მთელ გულს და სულს დებს, რაც საშუალებას აძლევს, უმაღლესი კლასის ფორვარდების წინააღმდეგაც საოცრად ითამაშოს. ჩვენი ჯგუფი ბრწყინვალე თავდამსხმელებით არის სავსე და ენდრიუსის თუ სხვა მცველების განსაკუთრებული დახმარება სწორედ ახლა გვჭირდება. ვფიქრობ, ბევრი გაოცებული დარჩება ტრინიდადის მსოფლიოს ჩემპიონატზე თამაშით. ჩვენ კარგი გუნდი გვყავს და სიურპრიზისთვის ვემზადებით“ — თქვა ბეენჰაკერმა.

შვედების ძირითადი მეკარე და ნაკრების ერთ-ერთი ლიდერი ანდრეას ისაკსონი ვარჯიშზე დაშავდა და შესაძლოა, ვერ ითამაშოს. მის ადგილს ჯონ ოლბაჯი ან რამი შაабანი დაიკავებს. სხვა ტრავმირებული ფეხბურთელი არც ევროპელებს ჰყავთ და არც ტრინიდადელებს.

ალსანიშნავია, რომ ტრინიდადი და ტობაგო მუნდიალზე მონაწილე ქვეყნებიდან ყველაზე პატარაა. ორი კუნძულისგან შემდგარ ქვეყანაში სულ რაღაც 1,1 მილიონი ადამიანი ცხოვრობს. ნაკრების ძირითად ფეხბურთელთა აბსოლუტური უმეტესობა კი 30 წელს მიტანებული ან ოცდაათს გადაცილებულია. შეტევაში ბეენჰაკერის მთავარი იმედი ორი ცნობილი ვეტერანი ფორვარდი, შტერნ ჯონი და დუაიტ იორკი იქნებიან.



AFP

რამდენ გოლს გაუშვებს შაკა ჰისლოპი?

შვედების კაპიტანი ოლოფ მელბერგი: „ჯგუფიდან გასვლისთვის სამი ნაკრები იბრძოლებს, ტრინიდადელებს ძალიან გაუჭირდებათ. ფავორიტად ინგლისს თვლიან, მაგრამ ჩვენ ეს არ გვაღელვებს“.

**კოკი კანდელაკი**

# მსოფლიოს თასი. გერმანია 2006

9 ივნისი
9 ივლისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## C ჯგუფი. I ტური

# სავიოლა აბონდანსიერია, უსტარი სავიოლაა

### არგენტინა — კოტ დივუარი

დღეს. ჰამბურგი. „AOL არენა“. 23.00

| | |
|---|---|
| 1. აბონდანსიერი; 21. ბურდისო, 2. აიალა, 6. ჰაინცე, 3. სორინი; 18. მაქსი როდრიგესი, 8. მასკერანო, 5. კამბიასო, 10. რიკელმე; 7. სავიოლა, 9. კრესპო<br>მწვრთნელი: ხოსე პეკერმანი | 1. ტიზიე; 21. ებუ, 4. კ. ტურე, 6. კუასი, 2. ბოკა; 7. ფაე, 19. ი. ტურე, 5. ზოკორა, 3. აკალე; 11. დროგბა, 9. კონე<br>მწვრთნელი: ანრი მიშელი |

მსაჯი: ფრანკ დე ბლეეკერი (ბელგია)



კარლოს ტევესს თანაგუნდელები ვარჯიშზეც არ ინდობენ

AFP ჰერცოგენრაუხიდან

**გაბრიელ** ჰაინცე და ხავიერ სავიოლა კარში, თავდასხმაში რობერტო აბონდანსიერი და ოსკარ უსტარი, ხოლო ერნან კრესპო — ლიბეროდ. უსტარი ბრწყინვალე მოიერიშე გამოდგა, შესანიშნავი საგოლე პასი გააკეთა და თანაგუნდელთა შექებაც დაიმსახურა...

არგენტინის ნაკრების გულშემატკივართა დასამშვიდებლად ვიტყვით, რომ ზემოხსენებული შემადგენლობა პატაგონიელთა მწვრთნელ ხოსე პეკერმანის ხუმრობაა — საქმე საქმეზე რომ მიდგება, სათადარიგო გოლკიპერ ოსკარ უსტარის თავდასხმაში არავინ ათამაშებს. უბრალოდ, პეკერმანმა გერმანია 2006-ზე პირველ თამაშამდე გადაწყვიტა, ბიჭები გაეხალისებინა და ჰერცოგენრაუხში ასე არეულად ათამაშა ერთმანეთში თავისი შეგირდები.

ხვალ, ჰამბურგის „აოლ არენაზე“ არგენტინის ეროვნული გუნდი თავის პირველ მატჩს ჩაატარებს. „ალბისელესტეს“ მეტოქე აფრიკული სახიფათო „სპილო“ კოტ დივუარი იქნება. სრული ოთხი წელიწადი გავიდა მას შემდეგ, რაც პატაგონიელებმა 2002 წლის მუნდიალზე ფიასკო განიცადეს და ჯგუფიდან გაძევებულნი დაბრუნდნენ განრისხებულ სამშობლოში. ცხადია, გერმანია 2006-ზე სამხრეთამერიკელებს ძველი სირცხვილის ჩამორეცხვა უნდათ და საქმესაც დიდი მონდომებით მოეკიდებიან.

„კოტ დივუარი სახიფათო მეტოქეა. თუმცა არა იმდენად, ჩვენი გეგმები რომ ჩაშალოს. არგენტინის ნაკრებს თავისი მიზანი აქვს მსოფლიოს ჩემპიონატზე და ჯილდოს გარეშე შინ დაბრუნებას არ აპირებს“ — განაცხადა ჟურნალისტებთან სამხრეთამერიკელთა მწვრთნელმა ხოსე პეკერმანმა.

სენიორ ხოსეს ამჟამინდელ ნაკრებში თავისი გაზრდილი ბიჭები ჰყავს — სორინი, კამბიასო, რიკელმე და სხვები ახალგაზრდულ გუნდშიც პეკერმანის მოწაფეები იყვნენ.

მუნდიალის პირველ თამაშში ლეო მესი სათადარიგოებში იქნება. აფრიკელებთან მძიმე ჯახში პეკერმანმა ნაკრების მთავარი ბრილიანტი დაზოგა და მოედანზე მის მაგივრად ხავიერ სავიოლას გაიყვანს. მესიზე ახლა მთელი პატაგონია ლოცულობს და ჰამბურგში არგენტინის შტაბ-ბინა-სასტუმროს ფასადზე „ბარსას“ ვარსკლავის გამოსახულებით უზარმაზარი დროშაა გამოკიდული.

კოტ დივუარი აფრიკელთა მთავარ იმედად ითვლება. „სპილოები“ მუნდიალზე პირველად არიან, მაგრამ ამბიციები არ აკლიათ. „არგენტინა დიდი ძალაა, თუმცა გერმანიაში ჩვენ საბრძოლველად ვართ ჩამოსულები“ — აღნიშნა კოლო ტურემ, აფრიკელთა მცველმა. დიდიე დროგბაც შესანიშნავ ფორმაშია და პატაგონიელთა ვარსკვლავ რიკელმესთან ომს აპირებს. აკი წერია არგენტინულ გაზეთებში ვეებერთელა ასოებით — რიკელმე დროგბას წინააღმდეგ.

**ლადო ხომერიკი**


## ქართულ-ამერიკული რესტორანი „ვერა სტეიკჰაუსი“






მსოფლიოს ჩემპიონატს
ფეხბურთში დიდ ეკრანზე
და VIP **დარბაზში**,
მიირთვით ***მანუელის***
ექსკლუზიური კერძები და
გაატარეთ სასიამოვნო საღამო

ინფორმაციისთვის მოგვმართეთ: მ. კოსტავას ქ.37°,
ვერის ბაღი, ჭადრაკის სასახლის I სართული
ტელ: 98-37-67, 893-63-03-52
**www.verasteakhouse.ge**

# სამგზის ოქროს ბურთმა თქვა: ბრაზილია!



**მსოფლიოს** ფეხბურთის ერთ-ერთმა ლეგენდამ, ორი მუნდიალის ნახევარფინალისტმა, „ოქროს ბურთის“ ზედიზედ სამგზის ლაურეატმა მიშელ პლატინიმ განაცხადა, რომ ბრაზილიაზე დიადი ამ ჩემპიონატზე არავინაა.

„მე თუ მკითხავთ, ტიტულის მომგები მხოლოდ ერთი გუნდია, ბრაზილია — ბრძანა მან — ძნელად დასამარცხებლები კი უდავოდ მეტნი გახლავან, მაგალითად არგენტინა, გერმანია, საფრანგეთი, მექსიკა, ინგლისი, ჰოლანდია, ხორვატია, ესპანეთი და იტალია“.

ინტერვიუში, რომელიც მან სააგენტო „როიტერს“ მისცა, პლატინიმ აღნიშნა, რომ ბრაზილიელებმა მასზე ერთი წლის წინ, კონფედერაციათა თასზე მოახდინეს წარუშლელი შთაბეჭდილება. შეგახსენებთ, რომ ფიფაში შემავალ კონფედერაციათა ჩემპიონებისა და მასპინძელი გერმანიის მონაწილეობით გამართულ ტურნირზე „სელესაომ“, რაც პორტუგალიურად ნაკრებს ნიშნავს, დამაჯერებლად გაიმარჯვა. ფინალში ბრაზილიელებმა არგენტინელებს მოუგეს 4:1.

„ბრაზილიელებს ძალიან ბევრი დიდი თავდამსხმელი ჰყავთ — თქვა ლეგენდამ — შეგვიძლია დავასახელოთ რონალდინიო, რონალდო, ადრიანო და კაკა. დაცვაში არიან ისეთი ოსტატები, კაფუ და რობერტო კარლოსი რომ გახლავან“.

ცნობილია, რომ საფრანგეთის ფეხბურთის ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი, პლატინი, გაისად უეფას პრეზიდენტობაზე წარადგენს თავის კანდიდატურას. თავისი ქვეყნის ნაკრებზე კი, ვაგლახ...

„ამჯერად ჩვენ საუკეთესოთა შორის ნამდვილად არ ვართ. ფრანგები თაობათა ცვლის პროცესში არიან და გუნდში ჯერ კიდევ გვყავს შემორჩენილი 1998 წლის დროინდელი ჩემპიონები — ზიდანი, ტურამი და მაკელელე. ვფიქრობ, სრულიად ახალი გუნდის მშენებლობის დროა“.

რაც შეეხებათ აფრიკულ გუნდებს, პლატინის თქმით, ის მათ კარგად არ იცნობს და ვერ ამბობს, არის თუ არა რომელიმე მათგანი სიურპრიზის შემომთავაზებელი.

„ვიცი, რომ კოტ დივუარს ისეთი კარგი ფეხბურთელი ჰყავს, როგორიცაა დიდიე დროგბა“ — ბრძანა ფრანგმა.

შეგახსენებთ, რომ კოტ დივუარი ანუ ქართულად სპილოს ძვლის ნაპირი C ჯგუფში არგენტინასთან, ჰოლანდიასთან და სერბეთ-ჩერნოგორიის ნაკრებებთან ერთად მოახვედრა წილისყრამ.

პლატინის, რომელიც 1998 წლის მუნდიალის საორგანიზაციო კომიტეტის პრეზიდენტი გახლდათ, ფეხბურთელობისას მსოფლიოს სამ პირველობაში აქვს მიღებული მონაწილეობა, 1978, 1982 და 1986 წლებში. როგორც ამბობს, ბოლომდე ჯანმრთელად არც ერთი მათგანის დროს არ იყო, თავისი მონაწილეობით ერთ-ერთ ყველაზე დიდ მატჩად კი 1982 წლის ნახევარფინალი მიაჩნია, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის წინააღმდეგ.

„მართალია, დავმარცხდით, მაგრამ დიდი მოგონებები დამიტოვა — ამბობს პლატინი — იმ დღეს უდიდესი ემოცია ჰქონდა“.

და მართლაც, საფრანგეთი 3:1-ს იგებდა, გერმანელებმა კი გაათანაბრეს და პენალტებში გაიმარჯვეს კიდეც.

**პაპუნა ქედია**

# ტუნისმა თვრამეტიანი ბრაზილიელი დაკარგა

**ტუნისის** ნაკრების წარმოშობით ბრაზილიელი მეგოლე ფრანსელინო დუშ სანტუში მსოფლიოს ჩემპიონატზე საუდის არაბეთთან პირველ მატჩს გამოტოვებს. ეს ამბავი ჟურნალისტებს მეჰდი ნაფტიმ ამცნო, ნაკრების ნახევარმცველმა. ჩრდილოაფრიკელებს კი მნიშვნელოვანი მოიერიშის გამოკლებით თავდასხმის ხაზში დიდი პრობლემები შეექმნებათ.

დუშ სანტუშმა ტრავმა, მუნდიალისწინა უკანასკნელ ამხანაგურ თამაშში მიიღო. მაშინ ტუნისელები გერმანულ სამოყვარულო გუნდს ებურთავნენ. დუშ სანტუშის მწვრთნელმა, ფრანგმა როჟე ლემერმაც განაცხადა, რომ ტრავმა საკმაოდ სერიოზულია.

ფეხბურთელი კი შეიძლება არა მხოლოდ არაბებთან, არამედ მომდევნო, ესპანელებთან მატჩშიც ვერ ვიხილოთ მოედანზე. „ფრანსელინო მსოფლიოს ჩემპიონატის პირველ თამაშს აუცილებლად გამოტოვებს. ასევე შეიძლება ვერც შემდეგი მატჩისთვის გამოჯანმრთელდეს“ — ამბობს მეჰდი ნაფტი.

ტუნისის ფეხბურთის ფედერაციაში კი ჯერჯერობით არ ადასტურებენ, როჟე ლემერმა ფორვარდის სავარაუდო შემცვლელი გამოიძახა თუ არა.

ფრანსელინო დუშ სანტუშმა ტუნისის მოქალაქეობა 2003 წელს მიიღო და მას შემდეგ აფრიკელთა ნაკრებში ჩატარებულ 28 თამაშში 18 გოლით იხეირა. მისი ტრავმა დიდი დარტყმაა გუნდისთვის, რომელსაც ძლიერი დაცვა კი ჰყავს, მაგრამ გატანილ გოლთა სიმრავლეში მოიკოჭლებს.

ტუნისი საუდელებთან პირველ მატჩს ოთხშაბათს ითამაშებს, ხოლო შემდეგ შერკინება ესპანეთის და უკრაინის ეროვნულ გუნდებთან მოუწევს.

**ლადო ხომერიკი**



დუშ სანტუში

# ინფექციურში რონალდო წევს



**რონალდომ** ვერ ივარჯიშა ხუთშაბათს და ამით პენტაკამპეონთა გულშემატკივრების დიდი შეშფოთება გამოიწვია. „რეალის“ ფორვარდი ინფექციამ შეაწუხა, თუმცა გუნდის ექიმ სერაფიმ ბორგესის განცხადებით, იგი მალე გამოჯანმრთელდება.

„რონალდო უკვე მშვენიერ ფორმაშია. ხუთშაბათს ექიმთა რჩევით არ გამოვიდა მოედანზე, თუმცა ახლა მისი მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია“ — თქვა სეუ ბორგესმა.

ექიმის აზრით, რონალდოს ავადობის მიზეზი კლიმატის ცვალებადობა უნდა იყოს — კიჭამ კონიგშტეინის ჰავა ვერ აიტანა და რესპირატორულმა ინფექციამ შეუტია.

ეს უკვე მეორე პრობლემაა ბრაზილიელისთვის. გასულ კვირას, ახალ ზელანდიასთან ამხანაგურ მატჩში, რონალდოს ცუდი ბუცების გამო ფეხები დაუსივდა და მწვრთნელმა პარეირამაც მისი დასვენება გადაწყვიტა.

პენტაკამპეონთა დამრიგებელი რონალდოს მორიგ პრობლემაზე არ წუხს, რადგან სჯერა, რომ თავდამსხმელი 13 ივნისს ხორვატიასთან პირველ მატჩს ბრწყინვალე ფორმაში შეხვდება.

„რონალდოს რთული არაფერი არ სჭირს. ახალ ზელანდიასთან მეორე ტაიმში იმის გამო ვერ ითამაშა, რომ ფეხები ასტკივდა, თუმცა მერე ნორმალურად ივარჯიშა. რონი ხუთშაბათსაც არ ყოფილა ვარჯიშზე, თუმცა ექიმებმა მითხრეს, რომ სერიოზული არაფერია“ — ირწმუნება კარლოს ალბერტო პარეირა.

**ლადო ხომერიკი**

# გადაიპარსავს!
## თავი გასწი, ლიპი დამანახე



**იტალიის** ნაკრების მწვრთნელმა მარჩელო ლიპიმ თქვა, თუ „სკუადრა ძურამ“ 2006 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი მოიგო, თავს ნულზე გადავიპარსავო. პატივცემულმა დამრიგებელმა ეს დუისბურგში განაცხადა პრესკონფერენციაზე. იქ თურმე ერთ-ერთ ჟურნალისტს სააგენტო ANSA-ს ფოტორეპორტიორისთვის, დანიელე დალ ჯენაროსთვის უთქვამს, გვერდზე მიდექი, შენი ფაფარის გამო დანარჩენ კორესპონდენტებს ლიპის დანახვაში ხელი გვეშლებაო. ზუსტად ამ დროს „სკუადრა ძურას“ თავკაცი ჩარეულა და რჩევა მიუცია დალ ჯენაროსთვის, აჩეჩილი დალალები მოკლედ შეეჭრა. „თუ იტალიას გააჩემპიონებთ, თავს უყოყმანოდ გადავიპარსავ“ — უმალ მიუგო ენამოსწრებულმა კაცმა. ჰოდა, ლიპისაც რაღა დარჩენოდა, საქვეყნოდ განცხადა, იტალიის ჩემპიონობის შემთხვევაში მეც „მელოტი“ გავხდებიო.

შეგახსენებთ, რომ იტალიის ეროვნული გუნდი E ჯგუფში ითამაშებს განასთან, ჩეხეთთან და ამერიკასთან ერთად.

**ლადო ხომერიკი**

# გოვუმ მოტეხილი სისე გაამთელა



სიდნეი გოვუ

**გამოკლებული** ჯიბრილ სისეს ნაცვლად საფრანგეთის ნაკრებმა „ლიონის“ თავდამსხმელ სიდნეი გოვუს უხმო.

შეგახსენებთ სისეს ამბავს: ოთხშაბათს, სენტ ეტიენში, ჩინელებთან ამხანაგური შეხვედრის დროს მან მეტოქის ერთ-ერთი მცველისთვის ბურთის წართმევა მოინდომა, ტანი ჩაუდგა და ფეხი მოიტეხა.

ფრანგთა მწვრთნელი რაიმონ დომენეკი: „მატჩის შემდეგ, გასახდელში ყველა შოკში იყო. სულ ერთმა თუ ორმა მოახერხა ცრემლისგან თავის შეკავება“.

ისევე, როგორც დაშავებული ლივერპულელი, მისი შემცვლელიც 26 წლისაა, შეუძლია ფრთაზე და ცენტრში თამაში, ყველაფერს კი მარჯვენა გარემარბობა ურჩევნია. ლურჯების შემადგენლობაში გოვუს 19 თამაში აქვს ჩატარებული, სამი გოლი შეგდებული და რასაკვირველია, სისეს უმთავრეს შემცვლელად არ მიიჩნევა. სავარაუდოდ, დომენეკი შვეიცარიას, ტიერი ანრისთან ერთად „იუვენტუსის“ ფორვარდ დავიდ ტრეზეგეს დაუპირისპირებს.

**ბაჩუნა ძიძია**

# ხორვატია დაიშალა

**ხორვატიის** ნაკრების ექვსმა ფეხბურთელმა ხუთშაბათის ვარჯიში გამოტოვა. მოგეხსენებათ, ოთხშაბათს ხორვატებმა ჟენევაში ესპანელებთან ითამაშეს ამხანაგური შეხვედრა და 1:2 წააგეს, ამის მეორე დღეს კი კაპიტან ნიკო კოვაჩს და მცველ იოსიპ სიმუნიჩს ზურგი გაუხდათ დასაამებელი და მიუნხენელ ექიმს ჩააკითხეს, ივან კლასნიჩს კი თავის საქმეებზე მოუხდა ბერლინში გამგზავრება — ესპანეთი და მსოფლიოს ჩემპიონატი არაფერ შუაშია. გამოცდილ მცველ იგორ ტუდორს ბარძაყმა შეახსენა თავი, ნახევარმცველ დარიო სრნასა და თავდამსხმელ ივიცა ოლიჩს კი გაჭიმვის ვარჯიშების მეტი არაფერი გაუკეთებიათ.

ხორვატების ექიმმა ბორის ნემეცმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ სრნა სამშაბათს F ჯგუფში ბრაზილიელებთან შესაჯიბრებლად მზად იქნება, ხოლო ოლიჩის ამბავი საეჭვოა.

**ბაჩუნა ძიძია**


## თმის გადანერგვის კლინიკა
## «ჰეალაინ ინტერნეიშნლ»

ხელმძღვანელი ქირურგ. თემურ თემურაშვილი



უყურე ფეხბურთს
ჩვენთან ერთად
და შედეგით
კმაყოფილი დარჩები

- უფასო კონსულტაცია, მათ შორის პროთეზისტის კონსულტაცია ამერიკიდან
- გარანტირებული შედეგები



ჰეალაინ ინტერნეიშნლ
თმის აღდგენითი მედიცინის სამკურნალო სამეცნიერო ცენტრი

ქავთარაძის 16 (სამკურნალო კომბინატი)
ტელ: 30 00 30; (893)62 32 62

www.hairline.ge


# ფულვიომ მოჯი დამალა



ლუჩანო მოჯი

**სკანდალურად** ცნობილი იტალიელი საფეხბურთო ჩინოვნიკი, „იუვენტუსის“ გადამდგარი გენერალური დირექტორი ლუჩანო მოჯი დაკითხვაზე არ მივიდა. კაცმა, რომლის სატელეფონო საუბრების მოსმენამ და გამოქვეყნებამ კალჩოს ისტორიაში ერთ-ერთი, ან სულაც ყველაზე დიდი სკანდალი გამოიწვია, ადვოკატი ფულვიო ჯანარიას პირით განაცხადა, რომ საფეხბურთო ცხოვრებაში აღარ ერევა და სურს, რომ თავი დაანებონ. ორშაბათს მოჯი ფეხბურთის ფედერაციის წარმომადგენელ იურისტს, ყოფილ მოსამართლე ფრანჩესკო ბორელის უნდა შეხვედროდა და მის შეკითხვებზე გაეცა პასუხები. განცხადებაში, რომელიც მოჯის მხარემ გაავრცელა, წერია: „ლუჩანო მოჯის ფეხბურთის ფედერაციის გამომძიებლებთან გამოძახების პასუხად ვაცხადებთ, რომ გადადგომის შემდეგ ის საფეხბურთო სამყაროს აღარ ეკუთვნის. ამიტომ, მოჯი ფედერაციაში დანიშნულ მოსმენებს არ დაესწრება“.

**ბაჩუნა ძიძია**


## საზოგადოებრივი მაუწყებელი

FIFA WORLD CUP GERMANY
გერმანია 2006

ყოველდღე, მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გადაცემა
**„არენა“**
შემოგთავაზებთ
ინტელექტუალურ ვიქტორინას.

ის, ვინც პირველი გამოაგზავნის სწორ პასუხს
**SMS** ნომერზე **2233** და **2234**
მაგთიდან და ჯეოსელიდან,
საჩუქრად მიიღებს ჩვენს სპეციალურ პრიზს
სპორტულ ენციკლოპედიას
და „საუკუნის პორტრეტების“ ჩანაწერს DVD დისკებზე.

**SMS-ის** ღირებულება **50 თეთრი**

9 ივლისს, 21 საათსა და 10 წუთზე
გათამაშდება კომპანია „ულტრატრეველის“ მიერ დაწესებული
სპეციალური პრიზი:
ორადგილიანი საგზური
დუბაიში ერთი კვირით, ოთხვარსკვლავიან სასტუმროში

ის, ვინც ყველაზე მეტ სწორ პასუხს გამოგზავნის მსოფლიო ჩემპიონატის მსვლელობისას, გაემგზავრება დუბაიში.

**უყურეთ მსოფლიო ჩემპიონატს ფეხბურთში საზოგადოებრივ არხზე!**

www.gpb.ge





1970 წლის 21 ივნისს, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, პელემ იტალიას პირველი გოლი გაუტანა. მატჩი კი 4:1 დასრულდა ბრაზილიელების გამარჯვებით. სად იყო მაშინ კლაუდია შიფერი, რომელმაც გუშინ პელეს თასი მიაწოდა? ჯერ დაბადებული არ იყო და ქვეყანას 1970-ის 25 აგვისტოს მოევლინა. პელე-შიფერის შეხვედრა გუშინ მიუნხენში, ჩემპიონატის გახსნის წინ მოხდა, იქვე იყვნენ გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი და ქვეყნის პრეზიდენტი ჰორსტ კოლერი, ვინაც მოგვიანებით ზეპ ბლატერთან საუბარი გააბა, როცა ბეკენბაუერი ქომაგებს ესალმებოდა.

ხოლო აფრიკულმა ჯგუფმა — „ამადუ და მარიამი" — ფიფას ჰიმნი შეასრულა, მანამდე კი გერმანული ცეკვა იყო: ფეხსაცმლის ძირები ხელისგულს რომ უნდა მიუტყაპუნო.







სარბიელი და კროკო

# წარმოგიდგენთ

| | | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | **მსოფლიო ჩემპიონატი გერმანიაში** | | | | | | |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 4 | ინგლისი-პარაგვაი | 1.60 | 3.40 | 6.20 | 1.08 | 1.27 | 2.19 |
| 17:00 | 5 | ინგლისი-პარაგვაი 0:1 | 2.70 | 3.40 | 2.17 | | | |
| 20:00 | 6 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.28 | 4.70 | 10.00 | 1.00 | 1.13 | 3.19 |
| 20:00 | 7 | შვედეთი-ტრინიდადი 0:1 | 1.75 | 3.70 | 3.45 | | | |
| 23:00 | 8 | არგენტინა-კოტ დი'ვუარი | 1.52 | 3.60 | 7.00 | 1.06 | 1.24 | 2.37 |
| 23:00 | 9 | არგენტინა-კოტ დი'ვუარი 0:1 | 2.50 | 3.40 | 2.30 | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 10 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.90 | 3.30 | 4.00 | 1.20 | 1.28 | 1.80 |
| 20:00 | 11 | მექსიკა-ირანი | 1.50 | 3.60 | 7.10 | 1.05 | 1.23 | 2.38 |
| 20:00 | 12 | მექსიკა-ირანი 0:1 | 2.45 | 3.50 | 2.35 | | | |
| 23:00 | 13 | პორტუგალია-ანგოლა | 1.37 | 4.10 | 9.00 | 1.02 | 1.18 | 2.81 |
| 23:00 | 14 | პორტუგალია-ანგოლა 0:1 | 2.00 | 3.60 | 2.75 | | | |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 23:00 | 15 | იტალია-განა | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 23:00 | 16 | იტალია-განა 0:1 | 2.40 | 3.40 | 2.35 | | | |
| 20:00 | 17 | ჩეხეთი-აშშ | 2.00 | 3.20 | 3.80 | 1.23 | 1.31 | 1.73 |
| 17:00 | 18 | იაპონია-ავსტრალია | 2.75 | 3.20 | 2.45 | 1.47 | 1.29 | 1.38 |
| | | **13 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 19 | ს.კორეა-ტოგო | 2.10 | 3.10 | 3.50 | 1.25 | 1.31 | 1.64 |
| 20:00 | 20 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 23:00 | 21 | ბრაზილია-ხორვატია | 1.45 | 3.60 | 7.80 | 1.03 | 1.22 | 2.46 |
| 23:00 | 22 | ბრაზილია-ხორვატია 0:1 | 2.10 | 3.50 | 2.40 | | | |
| | | **14 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 23 | ესპანეთი-უკრაინა | 1.80 | 3.20 | 4.70 | 1.15 | 1.30 | 1.90 |
| 20:00 | 24 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.95 | 3.10 | 3.85 | 1.19 | 1.29 | 1.71 |
| 23:00 | 207 | გერმანია-პოლონეთი | 1.50 | 3.50 | 6.50 | 1.04 | 1.21 | 2.27 |
| | | **15 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 158 | ეკვადორი-კოსტა რიკა | 2.15 | 3.20 | 3.20 | 1.28 | 1.28 | 1.60 |
| 20:00 | 159 | ინგლისი-ტრინიდადი | 1.16 | 5.80 | 16.00 | 1.00 | 1.08 | 4.25 |
| 23:00 | 161 | შვედეთი-პარაგვაი | 1.80 | 3.20 | 4.50 | 1.15 | 1.28 | 1.87 |
| | | **16 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 162 | არგენტინა-სერბეთი | 1.60 | 3.50 | 5.50 | 1.09 | 1.23 | 2.13 |
| 20:00 | 164 | ჰოლანდია-კოტ დი'ვუარი | 1.65 | 3.30 | 5.50 | 1.10 | 1.26 | 2.06 |
| 23:00 | 166 | მექსიკა-ანგოლა | 1.50 | 3.60 | 6.50 | 1.05 | 1.21 | 2.31 |
| | | **17 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 168 | პორტუგალია-ირანი | 1.45 | 3.90 | 7.50 | 1.05 | 1.21 | 2.56 |
| 20:00 | 170 | ჩეხეთი-განა | 1.65 | 3.40 | 5.20 | 1.11 | 1.25 | 2.05 |
| 23:00 | 171 | იტალია-აშშ | 1.60 | 3.40 | 6.00 | 1.08 | 1.26 | 2.17 |
| | | **18 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 173 | იაპონია-ხორვატია | 4.00 | 3.30 | 1.85 | 1.80 | 1.26 | 1.18 |
| 20:00 | 174 | ბრაზილია-ავსტრალია | 1.25 | 5.00 | 11.00 | 1.00 | 1.12 | 3.43 |
| 23:00 | 176 | საფრანგეთი-ს კორეა | 1.40 | 3.90 | 8.00 | 1.03 | 1.19 | 2.62 |
| | | **19 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 178 | ტოგო-შვეიცარია | 5.30 | 3.40 | 1.65 | 2.07 | 1.25 | 1.11 |
| 20:00 | 179 | ს.არაბეთი-უკრაინა | 9.00 | 3.90 | 1.38 | 2.72 | 1.19 | 1.01 |
| 23:00 | 180 | ესპანეთი-ტუნისი | 1.45 | 3.60 | 7.50 | 1.03 | 1.21 | 2.43 |
| | | **20 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 182 | ეკვადორი-გერმანია | 8.50 | 4.30 | 1.35 | 2.85 | 1.16 | 1.02 |
| 18:00 | 183 | კოსტა რიკა-პოლონეთი | 5.00 | 3.40 | 1.70 | 2.02 | 1.26 | 1.13 |
| 23:00 | 184 | პარაგვაი-ტრინიდადი | 1.50 | 3.60 | 7.00 | 1.05 | 1.23 | 2.37 |
| 23:00 | 186 | შვედეთი-ინგლისი | 3.70 | 3.20 | 1.95 | 1.71 | 1.27 | 1.21 |
| | | **21 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 187 | პორტუგალია-მექსიკა | 2.15 | 3.10 | 3.30 | 1.26 | 1.30 | 1.59 |
| 18:00 | 188 | ირანი-ანგოლა | 2.30 | 3.20 | 2.85 | 1.33 | 1.27 | 1.50 |
| 23:00 | 189 | ჰოლანდია-არგენტინა | 3.00 | 3.10 | 2.30 | 1.52 | 1.30 | 1.32 |
| 23:00 | 190 | კოტ დი'ვუარი-სერბეთი | 2.55 | 3.20 | 2.55 | 1.41 | 1.27 | 1.41 |
| | | **22 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 191 | ჩეხეთი-იტალია | 3.15 | 3.10 | 2.20 | 1.56 | 1.29 | 1.28 |
| 18:00 | 192 | განა-აშშ | 3.20 | 3.20 | 2.15 | 1.60 | 1.28 | 1.28 |
| 23:00 | 193 | ხორვატია-ავსტრალია | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 23:00 | 194 | იაპონია-ბრაზილია | 10.00 | 5.50 | 1.25 | 3.54 | 1.11 | 1.01 |
| | | **23 ივნისი** | | | | | | |
| 18:00 | 195 | უკრაინა-ტუნისი | 1.75 | 3.30 | 4.50 | 1.14 | 1.25 | 1.90 |
| 18:00 | 197 | ს.არაბეთი-ესპანეთი | 12.00 | 5.50 | 1.20 | 3.77 | 1.09 | 1.00 |
| 23:00 | 198 | შვეიცარია-ს კორეა | 1.95 | 3.20 | 3.70 | 1.21 | 1.27 | 1.71 |
| 23:00 | 199 | ტოგო-საფრანგეთი | 9.00 | 4.80 | 1.30 | 3.13 | 1.13 | 1.02 |
| | | **ესპანეთი. II დივიზიონი** | | | | | | |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 20:30 | 34 | ელჩე-სპორტინგი | 2.00 | 2.70 | 3.85 | 1.14 | 1.31 | 1.58 |
| 21:00 | 35 | ფეროლი-ვალიადოლიდი | 3.10 | 2.60 | 2.30 | 1.41 | 1.32 | 1.22 |
| 20:30 | 38 | მალაგა ბ-ნუმანსია | 2.75 | 2.80 | 2.40 | 1.38 | 1.28 | 1.29 |
| 20:30 | 39 | მურსია-ტენერიფე | 2.25 | 2.60 | 3.20 | 1.20 | 1.32 | 1.43 |
| 20:30 | 41 | რეალი(ბ)-კასტელონი | 2.50 | 2.70 | 2.70 | 1.29 | 1.29 | 1.35 |
| 20:30 | 42 | უელვა-სერესი | 1.60 | 3.10 | 5.30 | 1.05 | 1.22 | 1.95 |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 32 | ალბასეტე-სიუდადი | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| 21:00 | 33 | ალმერია-ლეიდა | 2.20 | 3.10 | 2.85 | 1.28 | 1.24 | 1.48 |
| 20:00 | 36 | ტარაგონა-ჰერკულესი | 1.80 | 3.00 | 4.20 | 1.12 | 1.25 | 1.75 |
| 14:00 | 37 | ლევანტე-ლორკა | 1.90 | 2.90 | 3.70 | 1.14 | 1.25 | 1.62 |
| 21:00 | 40 | ეხიდო-ეიბარი | 1.55 | 3.20 | 5.80 | 1.04 | 1.22 | 2.06 |
| | | **დანია. I დივიზიონი** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 17:00 | 53 | აკადემისკი-ფრედერისია | 1.65 | 3.70 | 4.30 | 1.14 | 1.19 | 1.98 |
| 17:00 | 54 | ფრემი-ბრაბრანდი | 2.30 | 3.80 | 2.45 | 1.43 | 1.18 | 1.48 |
| 17:00 | 55 | ფრემადი-ჰელერუპი | 2.40 | 3.60 | 2.50 | 1.44 | 1.22 | 1.47 |
| 17:00 | 56 | კოგე-ნიკობინგი | 1.65 | 3.80 | 4.20 | 1.15 | 1.18 | 1.99 |
| 17:00 | 57 | ლიუნგბიუ-კოლდინგი | 1,65 | 4.00 | 4.20 | 1.16 | 1.18 | 2.04 |
| 17:00 | 58 | რანდერსი-ჰერფიოლგე | 1.15 | 6.00 | 14.00 | 1.00 | 1.06 | 4.19 |
| 17:00 | 59 | სკიოლდი-იოლსტიკე | 4.00 | 3.80 | 1.65 | 1.94 | 1.16 | 1.15 |
| 17:00 | 60 | ვეილე-ბრიონსპოი | 1.09 | 8.00 | 16.00 | 1.00 | 1.02 | 5.33 |
| | | **შვედეთი. სუპერეტა** | | | | | | |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 16:00 | 82 | იონკოპინგი-უმეა | 1.70 | 3.40 | 4.00 | 1.13 | 1.19 | 1.83 |
| 20:00 | 83 | ბრომაპოიკარნა-იორებრო | 2.90 | 3.10 | 2.15 | 1.49 | 1.23 | 1.26 |
| 20:00 | 84 | ქვიდინგი-ატვიდაბერგი | 3.00 | 3.20 | 2.10 | 1.54 | 1.23 | 1.26 |
| 20:00 | 85 | ტრელებორგი-ფალკენბერგი | 1.45 | 3.80 | 5.30 | 1.04 | 1.13 | 2.21 |
| 20:00 | 86 | ვესბი-მიალბი | 1.90 | 3.20 | 3.40 | 1.19 | 1.21 | 1.64 |
| | | **12 ივნისი** | | | | | | |
| 21:00 | 87 | ლანდსკრონა-სუნდსვალი | 1.75 | 3.40 | 3.80 | 1.15 | 1.19 | 1.79 |
| 21:00 | 88 | ნორჩიოპინგი-ლიუნგსკილე | 2.00 | 3.20 | 3.30 | 1.23 | 1.24 | 1.62 |
| | | **აშშ** | | | | | | |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 97 | კოლამბუსი-კანზასი | 2.10 | 3.20 | 2.90 | 1.26 | 1.21 | 1.52 |
| 23:45 | 98 | ნიუ იორკი-ჰიუსტონი | 2.50 | 3.10 | 2.45 | 1.38 | 1.23 | 1.36 |
| | | **11 ივნისი** | | | | | | |
| 23:45 | 100 | ჩიკაგო-ნიუ ინგლენდი | 1.95 | 3.20 | 3.30 | 1.21 | 1.22 | 1.62 |
| 23:45 | 101 | ლოს ანჯელესი-ვაშინგტონი | 3.10 | 3.00 | 2.10 | 1.52 | 1.25 | 1.23 |
| | | **ჩოგბურთი.ქალები.Roland Garros** | | | | | | |
| | | **10 ივნისი** | | | | | | |
| 13:00 | 206 | ენინი-კუზნეცოვა | 1.20 | 3.10 | | | | |

## I ტაიმის შედეგი

| | | 1 | X | 2 | 1-X | 1-2 | X-2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| 10004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 2.20 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.60 |
| 10006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.50 | 2.60 | 8.00 | 1.00 | 1.26 | 1.96 |
| 10008 | არგენტინა-კოტ დი'ვუარი | 1.85 | 2.10 | 6.00 | 1.00 | 1.41 | 1.55 |
| 10010 | ჰოლანდია-სერბეთი | 2.30 | 2.00 | 4.30 | 1.06 | 1.49 | 1.36 |
| 10011 | მექსიკა-ირანი | 1.80 | 2.20 | 6.50 | 1.00 | 1.40 | 1.64 |
| 10013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.55 | 2.80 | 6.00 | 1.00 | 1.23 | 1.90 |
| 10015 | იტალია-განა | 1.75 | 2.50 | 5.50 | 1.02 | 1.32 | 1.71 |
| 10017 | ჩეხეთი-აშშ | 2.40 | 2.00 | 4.00 | 1.09 | 1.50 | 1.33 |
| 10018 | იაპონია-ავსტრალია | 2.90 | 2.00 | 2.90 | 1.18 | 1.45 | 1.18 |
| 10019 | ს.კორეა-ტოგო | 2.50 | 2.00 | 3.90 | 1.11 | 1.52 | 1.32 |
| 10020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.00 | 2.00 | 6.00 | 1.00 | 1.50 | 1.50 |
| 10021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 2.30 | 6.00 | 1.00 | 1.32 | 1.66 |

## I ტაიმი/ძირითადი დრო

| | | 1/1 | 1/X | 1/2 | X/1 | X/X | X/2 | 2/1 | 2/X | 2/2 |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 11004 | ინგლისი-პარაგვაი | 2.10 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 8.00 |
| 11006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.60 | 15.00 | 30.00 | 3.50 | 5.00 | 11.00 | 20.00 | 11.00 | 11.00 |
| 11008 | არგენტინა-კოტ დი'ვუარი | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 4.60 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11010 | პოლანდია-სერბეთი | 2.80 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |
| 11011 | მექსიკა-ირანი | 2.00 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 9.00 |
| 11013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.70 | 15.00 | 35.00 | 3.50 | 5.00 | 12.00 | 20.00 | 12.00 | 12.00 |
| 11015 | იტალია-განა | 2.00 | 12.00 | 25.00 | 3.50 | 5.00 | 10.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11017 | ჩეხეთი-აშშ | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11018 | იაპონია-ავსტრალია | 3.80 | 10.00 | 20.00 | 4.60 | 4.40 | 4.60 | 20.00 | 10.00 | 3.80 |
| 11019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 10.00 | 20.00 | 4.20 | 4.40 | 5.60 | 20.00 | 10.00 | 5.00 |
| 11020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 2.40 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 7.00 |
| 11021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 20.00 | 3.50 | 4.60 | 9.00 | 20.00 | 10.00 | 10.00 |
| 11023 | ესპანეთი-უკრაინა | 2.60 | 10.00 | 20.00 | 3.60 | 4.40 | 7.50 | 20.00 | 10.00 | 6.50 |
| 11024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 2.90 | 10.00 | 20.00 | 3.80 | 4.40 | 6.50 | 20.00 | 10.00 | 5.60 |

### რომელ ტაიმში გავა მეტი გოლი

| | | I-ში | თანაბრად | II-ში |
|---|---|---|---|---|
| 15004 | ინგლისი-პარაგვაი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15006 | შვედეთი-ტრინიდადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15010 | ჰოლანდია-სერბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15011 | მექსიკა-ირანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15013 | პორტუგალია-ანგოლა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15015 | იტალია-განა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ჩეხეთი-აშშ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | იაპონია-ავსტრალია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | ს.კორეა-ტოგო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

### ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.22 | 3.40 |
| 16006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.06 | 5.50 |
| 16008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.17 | 3.80 |
| 16010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.38 | 2.55 |
| 16011 | მექსიკა-ირანი | 1.17 | 3.80 |
| 16013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.08 | 5.00 |
| 16015 | იტალია-განა | 1.16 | 3.80 |
| 16017 | ჩეხეთი-აშშ | 1.32 | 2.60 |
| 16018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 16019 | ს.კორეა-ტოგო | 1.50 | 2.20 |
| 16020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.25 | 3.00 |
| 16021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.13 | 4.00 |
| 16023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.30 | 2.75 |
| 16024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.35 | 2.50 |

### გოლი:ლუწი-1ით კენტი-2.
(0:0 ითვლება ლუწად)

| | | | |
|---|---|---|---|
| 17004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 1.95 |
| 17006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.85 | 1.95 |
| 17008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.85 | 1.95 |
| 17010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.85 | 1.95 |
| 17011 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.95 |
| 17013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.85 | 1.95 |
| 17015 | იტალია-განა | 1.85 | 1.95 |
| 17017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.95 |
| 17018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.95 |
| 17019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.95 |
| 17020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.95 |
| 17021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.95 |
| 17023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.95 |
| 17024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.95 |

### რამდენი გოლი გავა მატჩში (ძირითადი დრო)
(2,5-ზე ნაკლები - 2,5-ზე მეტი)

| | | | |
|---|---|---|---|
| 12004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 12006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.10 | 1.60 |
| 12008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.70 | 1.90 |
| 12010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 12011 | მექსიკა-ირანი | 1.70 | 1.90 |
| 12013 | პორტუგალია-ანგოლა | 2.00 | 1.60 |
| 12015 | იტალია-განა | 1.70 | 1.90 |
| 12017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 12018 | იაპონია-ავსტრალია | 1.60 | 2.00 |
| 12019 | ს.კორეა-ტოგო | 1.60 | 2.00 |
| 12020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 12021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 12023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 2.00 |
| 12024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.00 |

### გაიტანს თუ არა ორივე გუნდი მატჩში გოლს
(ძირითადი დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 13004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.90 | 1.70 |
| 13006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.90 | 1.60 |
| 13008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.90 | 1.60 |
| 13010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 13011 | მექსიკა-ირანი | 1.90 | 1.60 |
| 13013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.90 | 1.60 |
| 13015 | იტალია-განა | 1.90 | 1.60 |
| 13017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 13018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 1.90 |
| 13019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.80 |
| 13020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.80 |
| 13021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.70 | 1.80 |
| 13023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.70 | 1.90 |
| 13024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

### რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს
(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებულად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.08 | 2.90 |
| 14008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.30 | 2.50 |
| 14010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.60 | 2.20 |
| 14011 | მექსიკა-ირანი | 1.20 | 2.60 |
| 14013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.08 | 2.90 |
| 14015 | იტალია-განა | 1.20 | 2.60 |
| 14017 | ჩეხეთი-აშშ | 1.60 | 2.20 |
| 14018 | იაპონია-ავსტრალია | 1.90 | 1.90 |
| 14019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 2.10 |
| 14020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.40 | 2.40 |
| 14021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.20 | 2.60 |
| 14023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.35 | 2.40 |
| 14024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.60 | 2.20 |

### ვინ დაიწყებს თამაშს

| | | | |
|---|---|---|---|
| 19004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.85 | 1.85 |
| 19006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.85 | 1.85 |
| 19008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.85 | 1.85 |
| 19010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.85 | 1.85 |
| 19011 | მექსიკა-ირანი | 1.85 | 1.85 |
| 19013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.85 | 1.85 |
| 19015 | იტალია-განა | 1.85 | 1.85 |
| 19017 | ჩეხეთი-აშშ | 1.85 | 1.85 |
| 19018 | იაპონია-ავსტრალია | 1.85 | 1.85 |
| 19019 | ს.კორეა-ტოგო | 1.85 | 1.85 |
| 19020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.85 | 1.85 |
| 19021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.85 | 1.85 |
| 19023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.85 | 1.85 |
| 19024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.85 | 1.85 |

### ვინ მოახდენს პირველ კუთხურს (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 20004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.60 | 2.00 |
| 20006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.50 | 2.20 |
| 20008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.60 | 2.00 |
| 20010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 1.90 |
| 20011 | მექსიკა-ირანი | 1.60 | 2.00 |
| 20013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.50 | 2.10 |
| 20015 | იტალია-განა | 1.60 | 2.00 |
| 20017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 1.90 |
| 20018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 1.80 |
| 20019 | ს.კორეა-ტოგო | 1.70 | 1.90 |
| 20020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.60 | 2.00 |
| 20021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.50 | 2.10 |
| 20023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.60 | 1.95 |
| 20024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 1.90 |

### კუთხურების რაოდენობა (ძირ. დრო) 10,5

| | | | |
|---|---|---|---|
| 22004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.70 | 1.90 |
| 22006 | შვედეთი-ტრინიდადი | 1.80 | 1.80 |
| 22008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.80 | 1.90 |
| 22010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.70 | 2.00 |
| 22011 | მექსიკა-ირანი | 1.70 | 2.00 |
| 22013 | პორტუგალია-ანგოლა | 1.70 | 2.00 |
| 22015 | იტალია-განა | 1.70 | 2.00 |
| 22017 | ჩეხეთი-აშშ | 1.70 | 2.00 |
| 22018 | იაპონია-ავსტრალია | 1.70 | 2.00 |
| 22019 | ს.კორეა-ტოგო | 1.80 | 1.90 |
| 22020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.80 | 1.90 |
| 22021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.80 | 1.80 |
| 22023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.80 | 1.90 |
| 22024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.70 | 2.00 |

### ვინ მიიღებს პირველ გაფრთხილებას (ყ/ფ) (ძირ. დრო)

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 21004 | ინგლისი-პარაგვაი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.10 | 10.00 | 1.60 |
| 21008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21010 | ჰოლანდია-სერბეთი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21011 | მექსიკა-ირანი | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21013 | პორტუგალია-ანგოლა | 2.00 | 10.00 | 1.60 |
| 21015 | იტალია-განა | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21017 | ჩეხეთი-აშშ | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21018 | იაპონია-ავსტრალია | 1.80 | 10.00 | 1.80 |
| 21019 | ს.კორეა-ტოგო | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21021 | ბრაზილია-ხორვატია | 1.90 | 10.00 | 1.65 |
| 21023 | ესპანეთი-უკრაინა | 1.90 | 10.00 | 1.70 |
| 21024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 1.90 | 10.00 | 1.70 |

### იქნება თუ არა მატჩში პენალტი (ძირ. დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 23004 | ინგლისი-პარაგვაი | 3.00 | 1.30 |
| 23006 | შვედეთი-ტრინიდადი | 2.90 | 1.28 |
| 23008 | არგენტინა-კოტ დიუარი | 3.10 | 1.25 |
| 23010 | ჰოლანდია-სერბეთი | 3.10 | 1.25 |
| 23011 | მექსიკა-ირანი | 3.10 | 1.25 |
| 23013 | პორტუგალია-ანგოლა | 3.10 | 1.25 |
| 23015 | იტალია-განა | 3.10 | 1.25 |
| 23017 | ჩეხეთი-აშშ | 3.30 | 1.22 |
| 23018 | იაპონია-ავსტრალია | 3.10 | 1.25 |
| 23019 | ს.კორეა-ტოგო | 3.10 | 1.20 |
| 23020 | საფრანგეთი-შვეიცარია | 3.10 | 1.20 |
| 23021 | ბრაზილია-ხორვატია | 3.20 | 1.25 |
| 23023 | ესპანეთი-უკრაინა | 3.30 | 1.22 |
| 23024 | ტუნისი-ს.არაბეთი | 3.20 | 1.25 |

გაიხსნა კროკოს ახალი ბიუროები:
თბილისი – მოსკოვის გამზირი №6;
ზესტაფონი – აღმაშენებლის №39;
გარდაბანი – აღმაშენებლის №12

### გავა თუ არა სწრაფი გოლი მჩ 2006 'ში (2 წთ). 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9701 | 1.32 | 2.05 |

### მჩ 2006 'ში გატანილი გოლების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9702 | 160,5 | 1.80 | 1.80 |

### მჩ 2006 პენალტების რაოდენობა (ძირ დრო) 9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9801 | 16,5 | 1.90 | 1.80 |

### მჩ 2006 გოლი საკუთარ კარში (ძირ დრო) 9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9802 | 3,5 | 1.70 | 1.90 |

**შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**

# სხვა სახის ფსონებს გაეცნობით ადგილზე

## რომელ ჯგუფში გავა ყველაზე მეტი გოლი

9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი A | 7.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი F | 5.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი H | 6.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი C | 12.00 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი D | 5.20 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი E | 7.50 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი B | 5.50 |
| 18:00 | 9201 | ყველაზე მეტი გოლი | ჯგუფი G | 6.20 |

## რომელი კონტინენტი მოიპოვებს მსოფლიო თასს

9 ივნისი

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ევროპა(14) | 1.30 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ავსტრალია | 100.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებულ | ჩრ.ამერიკა | 70.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | აზია(4) | 60.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | ც.ამერიკა(3) | 30.00 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | სამ.ამერიკა(4) | 2.10 |
| 18:00 | 9301 | გამარჯვებული | აფრიკა(5) | 30.00 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვინ გახდება მჩ 2006-ის ბომბარდირი

## 9501. 9 ივნისი. 18.00

| | |
|---|---|
| კლოზე | 28.00 |
| მაკაი | 32.00 |
| დროგბა | 45.00 |
| ჯილარდინო | 25.00 |
| ვილა | 25.00 |
| ტორესი | 25.00 |
| პოდოლსკი | 25.00 |
| რუნი | 17.00 |
| დეკო | 60.00 |
| რონალდო | 10.00 |
| შევჩენკო | 20.00 |
| რონალდინიო | 11.00 |
| ანრი | 13.00 |
| კრესპო | 15.00 |
| ტონი | 15.00 |
| ვან ნისტელროი | 15.00 |
| ზიდანი | 60.00 |
| ტევესი | 30.00 |
| კეჟმანი | 65.00 |
| ადრიანო | 10.00 |
| პრსო | 55.00 |
| ბეკჰემი | 48.00 |
| გომეში | 50.00 |
| ბალაკი | 48.00 |
| კაკა | 48.00 |
| ვენეგოორი | 45.00 |
| ბორგეტი | 45.00 |
| ლარსონი | 45.00 |
| ნედველი | 65.00 |
| სისე | 45.00 |
| კრაუჩი | 40.00 |
| ვიერი | 30.00 |
| კუიტი | 30.00 |
| პაულეტა | 32.00 |
| რაული | 35.00 |
| რობინიო | 31.00 |
| დელ პიერო | 38.00 |
| მორიენტესი | 40.00 |
| მესი | 35.00 |
| ოუენი | 13.00 |
| ბაროში | 40.00 |
| ლამპარდი | 45.00 |
| ტოტი | 30.00 |
| კოლერი | 65.00 |
| ტრეზეგე | 20.00 |
| იბრაჰიმოვიჩი | 40.00 |

## მსოფლიოს თასი 2006 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9012 | იაპონია | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ბრაზილია | 3.20 |
| 18:00 | 9012 | გერმანია | 7.50 |
| 18:00 | 9012 | პორტუგალია | 18.00 |
| 18:00 | 9012 | ესპანეთი | 12.00 |
| 18:00 | 9012 | ჰოლანდია | 15.00 |
| 18:00 | 9012 | საფრანგეთი | 10.00 |
| 18:00 | 9012 | ანგოლა | 380.00 |
| 18:00 | 9012 | კოტ დიუარი | 80.00 |
| 18:00 | 9012 | ტრინიდადი | 800.00 |
| 18:00 | 9012 | ს.არაბეთი | 600.00 |
| 18:00 | 9012 | ირანი | 450.00 |
| 18:00 | 9012 | ტოგო | 290.00 |
| 18:00 | 9012 | ს კორეა | 250.00 |
| 18:00 | 9012 | ავსტრალია | 80.00 |
| 18:00 | 9012 | პოლონეთი | 75.00 |
| 18:00 | 9012 | ჩეხეთი | 25.00 |
| 18:00 | 9012 | შვედეთი | 28.00 |
| 18:00 | 9012 | მექსიკა | 40.00 |
| 18:00 | 9012 | უკრაინა | 45.00 |
| 18:00 | 9012 | ხორვატია | 50.00 |
| 18:00 | 9012 | ტუნისი | 280.00 |
| 18:00 | 9012 | აშშ | 95.00 |
| 18:00 | 9012 | განა | 190.00 |
| 18:00 | 9012 | კოსტა რიკა | 500.00 |
| 18:00 | 9012 | შვეიცარია | 100.00 |
| 18:00 | 9012 | სერბეთი | 100.00 |
| 18:00 | 9012 | ეკვადორი | 120.00 |
| 18:00 | 9012 | პარაგვაი | 130.00 |
| 18:00 | 9012 | ინგლისი | 6.50 |
| 18:00 | 9012 | იტალია | 8.50 |
| 18:00 | 9012 | არგენტინა | 9.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფში I ადგილი

| ჯგუფი | კოდი | დრო | გუნდი | კოეფ. |
|---|---|---|---|---|
| ჯგუფი A | 9101 | 18:00 | გერმანია | 1.35 |
| | | 18:00 | კოსტა რიკა | 15.00 |
| | | 18:00 | ეკვადორი | 9.00 |
| | | 18:00 | პოლონეთი | 4.50 |
| ჯგუფი B | 9102 | 18:00 | ტრინიდადი | 35.00 |
| | | 18:00 | პარაგვაი | 7.00 |
| | | 18:00 | ინგლისი | 1.45 |
| | | 18:00 | შვედეთი | 3.10 |
| ჯგუფი C | 9103 | 18:00 | სერბეთი | 9.00 |
| | | 18:00 | კოტ დიუარი | 9.00 |
| | | 18:00 | ჰოლანდია | 2.40 |
| | | 18:00 | არგენტინა | 1.95 |
| ჯგუფი D | 9104 | 18:00 | პორტუგალია | 1.80 |
| | | 18:00 | ირანი | 10.00 |
| | | 18:00 | ანგოლა | 12.00 |
| | | 18:00 | მექსიკა | 2.10 |
| ჯგუფი E | 9105 | 18:00 | იტალია | 1.65 |
| | | 18:00 | განა | 10.00 |
| | | 18:00 | ჩეხეთი | 3.00 |
| | | 18:00 | აშშ | 7.00 |
| ჯგუფი F | 9106 | 18:00 | იაპონია | 12.00 |
| | | 18:00 | ავსტრალია | 12.00 |
| | | 18:00 | ხორვატია | 6.20 |
| | | 18:00 | ბრაზილია | 1.20 |
| ჯგუფი G | 9107 | 18:00 | საფრანგეთი | 1.30 |
| | | 18:00 | შვეიცარია | 4.80 |
| | | 18:00 | ტოგო | 15.00 |
| | | 18:00 | ს კორეა | 10.00 |
| ჯგუფი H | 9108 | 18:00 | ტუნისი | 8.50 |
| | | 18:00 | ს.არაბეთი | 30.00 |
| | | 18:00 | უკრაინა | 3.00 |
| | | 18:00 | ესპანეთი | 1.50 |

## ვინ შეხვდება ერთმანეთს ფინალში. 9 ივნისი

| | | | |
|---|---|---|---|
| 18:00 | 9401 | ჩეხ-ხორვ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-უკრ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-ხორვ | 700.00 |
| 18:00 | 9401 | მექს-ხორვ | 900.00 |
| 18:00 | 9401 | მექს-უკრ | 700.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-პორტ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-შვედ | 240.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-უკრ | 200.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-შვედ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-მექს | 95.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-პორტ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | შვედ-მექს | 400.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-შვედ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ჩეხეთ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-შვედ | 200.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-მექს | 75.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-უკრ | 75.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-მექს | 95.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ჩეხ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-შვედ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ჩეხეთ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-შვედ | 65.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-მექს | 60.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ჩეხეთ | 60.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ჩეხეთ | 48.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-პორტ | 50.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-უკრ | 500.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-პორტ | 45.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლან-ესპ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-უკრ | 250.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-ხორვ | 70.00 |
| 18:00 | 9401 | ხორვ-უკრ | 800.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-ხორვ | 280.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-უკრ | 300.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-ხორვ | 300.00 |
| 18:00 | 9401 | ჩეხ-მექს | 370.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-ხორვ | 380.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-პორტ | 80.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-უკრ | 250.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ესპ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-ჩეხეთ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ესპ | 32.00 |
| 18:00 | 9401 | ბრაზ-პორტ | 32.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ესპ | 28.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ესპ | 28.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ესპ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-გერ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-იტალ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-პორტ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-საფ | 13.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-გერ | 16.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-არგ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ჰოლ | 16.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-საფრ | 25.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ჰოლან | 22.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ჰოლან | 20.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-იტალ | 20.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-იტალ | 18.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-მექს | 100.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-ჰოლან | 25.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-მექს | 200.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ესპ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | პორტ-ჩეხ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | ჰოლ-ჩეხ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-მექს | 150.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-შვედ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-ხორ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ჰოლან | 33.00 |
| 18:00 | 9401 | იტალ-უკრ | 130.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-პორტ | 40.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-უკრ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-იტალ | 7.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-გერ | 6.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-არგ | 6.50 |
| 18:00 | 9401 | საფრ-შვედ | 125.00 |
| 18:00 | 9401 | ბრა-ინგლ | 8.50 |
| 18:00 | 9401 | ბრა-საფრ | 11.00 |
| 18:00 | 9401 | გერ-ხორვ | 150.00 |
| 18:00 | 9401 | საფრ-ხორვ | 240.00 |
| 18:00 | 9401 | ესპ-ჩეხ | 100.00 |
| 18:00 | 9401 | არგ-უკრ | 120.00 |
| 18:00 | 9401 | ინგლ-უკრ | 125.00 |

## მსოფლიოს თასი 2006. 9 ივნისი. ჯგუფიდან გასვლა

| ჯგუფი | კოდი | დრო | გუნდი | კოეფ. |
|---|---|---|---|---|
| ჯგუფი A | 9601 | 18:00 | კოსტა რიკა | 5.00 |
| | | 18:00 | გერმანია | 1.07 |
| | | 18:00 | პოლონეთი | 1.45 |
| | | 18:00 | ეკვადორი | 2.80 |
| ჯგუფი B | 9602 | 18:00 | ინგლისი | 1.11 |
| | | 18:00 | შვედეთი | 1.30 |
| | | 18:00 | ტრინიდადი | 13.00 |
| | | 18:00 | პარაგვაი | 2.50 |
| ჯგუფი C | 9603 | 18:00 | კოტ დიუარი | 3.00 |
| | | 18:00 | სერბეთი | 3.00 |
| | | 18:00 | არგენტინა | 1.20 |
| | | 18:00 | ჰოლანდია | 1.30 |
| ჯგუფი D | 9604 | 18:00 | ირანი | 4.00 |
| | | 18:00 | ანგოლა | 5.00 |
| | | 18:00 | პორტუგალია | 1.14 |
| | | 18:00 | მექსიკა | 1.22 |
| ჯგუფი E | 9605 | 18:00 | განა | 4.00 |
| | | 18:00 | იტალია | 1.15 |
| | | 18:00 | ჩეხეთი | 1.45 |
| | | 18:00 | აშშ | 2.50 |
| ჯგუფი F | 9606 | 18:00 | ავსტრალია | 3.00 |
| | | 18:00 | ხორვატია | 1.70 |
| | | 18:00 | ბრაზილია | 1.02 |
| | | 18:00 | იაპონია | 3.20 |
| ჯგუფი G | 9607 | 18:00 | შვეიცარია | 1.50 |
| | | 18:00 | ს. კორეა | 2.70 |
| | | 18:00 | ტოგო | 5.00 |
| | | 18:00 | საფრანგეთი | 1.08 |
| ჯგუფი H | 9608 | 18:00 | ესპანეთი | 1.10 |
| | | 18:00 | უკრაინა | 1.40 |
| | | 18:00 | ტუნისი | 2.50 |
| | | 18:00 | ს. არაბეთი | 8.00 |

# ჟურნალისტებმა რჩეული პრეცედენტი: ცხადია, კახა კალაძე.



კობა ინასარიძე და კახა კალაძე





სალამოს „მილანის“ საკლუბო ტელევიზიის ჟურნალისტებიც დაესწრნენ

კომპანია „სატელაიტი“ არ აღმოჩნდა მზად ისეთი მასშტაბური ღონისძიების ტექნიკური უზრუნველყოფისთვის, რასაც საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელის დაჯილდოება ჰქვია...

ესეც მეთოთხმეტე — ქართველ სპორტულ ჟურნალისტთა ამქარმა ჩვენი ჩემპიონატის და სრულიად საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელები კიდევ ერთხელ გამოავლინა.

„სარბიელის“ მორიგი გამოკითხვის შემაჯამებელი ცერემონია ამჯერად „ვერა სტეიკჰაუსში“ შედგა. ნომინანტთა გარდა, მას ჟურნალისტები, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის წარმომადგენლებიც ესწრებოდნენ. სალამოს დიმიტრი ობოლაძე უძღვებოდა.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელის გამოკითხვაში უპრეცედენტოდ ბევრმა, ოცზე მეტმა ფეხბურთელმა მიიღო ხმები, თუმცა საბოლოო ჯამში ჟურნალისტთა არჩევანი სავსებით სამართლიანი იყო.

კოკა მიკუჩაძე — თბილისის „დინამოს“ ყოფილი ფორვარდი ბოლნისური „სიონის“ ნამდვილ ლიდერად მოგვევლინა და ყველა საჭირო შეხვედრაში მოუტანა საკუთარ გუნდს გამარჯვება. კოკაზე ტიტული, შესაძლოა, ალალიც იყო, მაგრამ რაღაც დაკლდა — ეგებ ქარიზმა.

ზურაბ იონანიძე — მისი მეორე ადგილი გასაკვირი არავისთვის ყოფილა. იგი „ზესტაფონის“ სული და გული იყო მე-17 ეროვნულში.

საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელი კი ოთარ მარცვალაძეა. ეს მით უფრო უჩვეულოა, რომ ოთარმა მხოლოდ პირველი წრე ითამაშა, მაგრამ ჩვენი ჩემპიონატის საუკეთესოობისთვის ესეც საკმარისი აღმოჩნდა.

სალამოს წამყვანმა საქართველოს ჩემპიონატის საუკეთესოთა შესახებ საუბარი მოილია და მთავარ ნომინაციაზე გადავიდა.

შოთა არველაძე — განა ვინმეს შეუძლია ახსნას, რატომ ვერ გახდა შოთა საქართველოს წლის საუკეთესო ფეხბურთელი?! ევროპის საუკეთესო ბომბარდირთა შორის იუვენტუსელ დავიდ ტრეზეგესთან მეათე ადგი-



შოთა და რევაზ არველაძეები და კახა კალაძე



„სარბიელის“ გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია

# რჩეული დააჯილდოვეს

## უპრეცედენტო: ოთარ მარცვალაძე



საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ასოციაციის პრეზიდენტმა ელგუჯა ბერიშვილმა კახა კალაძე პირველი ქართული სპორტის ენციკლოპედიით დაასაჩუქრა



კიევში მყოფი ოთარ მარცვალაძის პრიზი მისმა ძმამ, ალექსანდრემ მიიღო

ლის გაყოფა სახუმარო საქმე არ უნდა იყოს და შოთას დიდი შანსი ჰქონდა, „სარბიელის" პრიზი სათავისოდ დაეგულებინა.

ლევან კობიაშვილი — უმაღლეს დონეზე ჩატარებული გერმანიის ჩემპიონატი, უეფას თასის მატჩები და, ბოლოს და ბოლოს, ჩემპიონთა ლიგაში გატანილი ჰეთ თრიქი, რაც ევროფეხბურთის ისტორიას დიდხანს შემორჩება. ლევანმა სეზონი ერთი ამოსუნთქვით ჩაატარა, თუმცა საუკეთესოდ აღიარებისთვის, როგორც ჩანს, გუნდური წარმატება დააკლდა — ჩემპიონობა და უეფას თასის მოგება თუ არა, ჩემპიონთა ლიგის საგზური მაინც.

კახა კალაძე — ფეხბურთელი, რომელსაც შარშან ზაფხულს ლონდონის „ჩელსიში" გადასვლას უწინასწარმეტყველებდნენ, დღეს თამამად აცხადებს, რომ კარიერას „მილანში" დაასრულებს. ალბათ ნაწილობრივ ამის შედეგიცაა ნდობა, რომელიც კლუბის ხელმძღვანელობამ მის მიმართ გამოიჩინა და დაცვის ცენტრში უაღრესად საპასუხისმგებლო მისია დააკისრა და ამას ჩვენებურმა შესანიშნავად გაართვა თავი.

მოკლედ, კახა კალაძე უკვე მეოთხედ გახდა საქართველოს საუკეთესო ფეხბურთელი!

ფეხბურთელთა დაჯილდოებას ლატარიის ტრადიციული გათამაშება მოჰყვა, რომელშიც ჩვენს კოლეგას, აკაკი გვიმრაძეს გაუმართლა — კახა კალაძემ თავისი მაისურა გამარჯვებულს თავადვე გადასცა.

და ერთიც: ღონისძიება სწორედ ისეთი გამოვიდა, როგორსაც ორგანიზატორები ვგეგმავდით, თუმცა კომპანია „სატელაიტის" ტექნიკურმა ხარვეზებმა კარგა ხნის ნაჯაფი წყალში ჩაყარა და საღამოს სცენარი, ფაქტობრივად, ფარატინა ქაღალდად აქცია. ამ კომპანიის წარმომადგენლებმა ვერაფრით მოახერხეს ტექნიკური აპარატურის გამართვა, რამაც საზეიმო ღონისძიებას სერიოზული კვალი დააჩნია.

„სარბიელის" მომდევნო გამოკითხვის შედეგები ალბათ სხვაგან გაცხადდება, „სატელაიტმა" კი, როგორც ჩანს, საკუთარი შესაძლებლობები ამით ამოწურა...



კახა კალაძის მაისურა აკაკი გვიმრაძეს ერგო



დიმიტრი ობოლაძე







კახა კალაძის ავტოგრაფი „კახა კალაძეს"



სანამ საქართველოს ეროვნულ ნაკრებთა ხელმძღვანელი კლაუს ტოპმიოლერი გახდებოდა, **კობა ჟორჟიკაშვილი** მანამდეც იყო ნაკრებთა სამწვრთნელო შტაბში — 19 და 21-წლამდელთა გუნდების მთავარი მწვრთნელი გახლდათ. ახლა ჟორჟიკაშვილი არც ერთი ნაკრების მთავარი მწვრთნელი არ არის, მაგრამ ტოპმიოლერის შტაბის წევრია. აწ დასრულებული სეზონის ბოლოს ჟორჟიკაშვილი „ზესტაფონის" თავკაცი იყო, მაგრამ ახლა მხოლოდ ნაკრებებში მოუწევს მუშაობა...

# კობა ჟორჟიკაშვილი: ვარჯიში კულისია

## ბრაზილია ფლანგებს უნდა უფრთხოდეს

— ნაკრებებში ვმუშაობ და რომელიმე კლუბში მწვრთნელობის აღარ მაქვს, თუმცა კლუბებში მაინც ვიმუშავებ — მთავარ მწვრთნელებთან შეთანხმებით ვარჯიშებს დავესწრები. ვარჯიშები კულისებია, სადაც ისეთი ნიუანსებს ამჩნევ, თამაშში რომ არ ჩანს.

— ნაკრებებში გერმანელ მწვრთნელებთან მუშაობამ რა შეგძინათ?

— საერთოდ, ჩვენ ერთმანეთისგან ვსწავლობთ რაღაც-რაღაცებს, მეც ვსწავლობ მათგან ორგანიზაციულ და წმინდა საფეხბურთო დეტალებს.

— არსებობს აზრი, რომ თქვენ ჭაბუკებთან და ახალგაზრდებთან უფრო კარგად მუშაობთ, ვიდრე ზრდასრულ ფეხბურთელებთან...

— ახალგაზრდებთან მუშაობას თავისი სპეციფიკა აქვს, ზრდასრულ ფეხბურთელებთან კი უფრო მეტი ფსიქოლოგიაა საჭირო, ტაქტიკა და ფიზიკური მომზადებაც წინა პლანზე იწევს. კლუბის და ნაკრების გაწვრთნაც განსხვავდება ერთმანეთისგან დაახლოებით ისე, როგორც ჩვეულებრივი და სწრაფი ჭადრაკი. ნაკრებში უფრო სწრაფად უნდა შეგეძლოს გადაწყვეტილებების მიღება. რაც შეეხება იმას, რომ ახალგაზრდებთან უფრო კარგად ვმუშაობ, ვინც ამას ამბობს, სტატისტიკას გადახედოს — დასრულებულ სეზონში „ზესტაფონს" ოქტომბრის აქეთ თამაში არ წაუგია, თუ არ ჩავთვლით თასის ფინალში „ამერთან" პენალტების სერიაში მარცხს. ვფიქრობ, ყველაფერ ამაში მეც მიმიძღვის წვლილი.

— ითქვა, „ზესტაფონის" თასის ფინალში მარცხი ჟორჟიკაშვილის შეცდომებმა მნიშვნელოვნად განაპირობაო...

— ჩვენს ცუდ თამაშს „ამერის" კარგი თამაში დაემთხვა, ხანდახან ფეხბურთში ასეც ხდება. დანარჩენი კი კულისებში უნდა დარჩეს, ყველაფერს პრესაში ვერ გამოვამზეურებ.

— გერმანია 2006-ზეც გკითხავთ: რომელი გუნდი მიგაჩნიათ ფავორიტად?

— საუკეთესო შემადგენლობა ბრაზილიას ჰყავს, მაგრამ შესაძლოა, ფლანგებზე პრობლემები შეექმნას კაფუს და რობერტო კარლოსის ხანდაზმულობის გამო. წინ წაიწევს გერმანია, თუმცა საიმედო დაცვის ცენტრი არ ჰყავს. ფავორიტთა შორის დავასახელებდი ინგლისს და საფრანგეთს... გადამწყვეტი ფაქტორი კი ის იქნება, თუ ვის რა ფიზიკური კონდიციები ექნება ჩემპიონატისას.

**დავით თავართქილაძე**

# ბურდულმა გიგიაძეს ჩაანაცვლა



**ნაკრებისგან** მივიწყებული 25 წლის მარჯვენაფლანგელი ლადო ბურდული გუშინ უკრაინაში გაემგზავრა და იქაურ „კრივბასთან" ერთწლიან კონტრაქტს მოაწერს ხელს.

ბურდული ადრეც იყო უკრაინაში — შარშანწინ კიევის „დინამოში" ეშურებოდა გადასვლას, მაგრამ კიევურ შეკრებაზე მძიმედ დაშავდა და ტრანსფერი ჩაიშალა.

„კრივბასი" ბურდულისთვის მეორე უცხოური კლუბი იქნება — შარშან ლადო ვლადიკავკაზის „ალანიაში" თამაშობდა, წლეულს კი საქართველოს ჩემპიონატის მეორე წრე „დინამოში" გაატარა.

შეგახსენებთ, რომ „კრივბასში" უკვე არის ერთი ჩვენებური — ვასილ გიგიაძე.

**ლუკა თალაკვაძე**


ფკ ამერის ბავშვთა სკოლა აცხადებს 1992-1993 წლებში დაბადებულ პერსპექტიულ ბავშვთა მიღებას ჭაბუკთა ლიგაში სათამაშოდ.

მიღება იწარმოებს შერჩევით, ყოველდღე 15-დან 18 საათამდე; შაბათ-კვირას: 10-დან 12 საათამდე.

მისამართი: გლდანის მასივი, თიანეთის გზატკეცილი 25 (გლდანულის გადასახვევი).

ტელ.: 899 13 51 02; 57 14 11


# ლომიძე ბალტიკაშია



მამუკა ლომიძემ გასული სეზონის მეორე წრე „ბათუმში" გაატარა, მანამდე კი რუსეთის პირველდივიზიონელ „ჩკალოვეცში" თამაშობდა. სავარაუდოდ, საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ყოფილი მცველი ისევ რუსეთში გააგრძელებს კარიერას და ისევ პირველ დივიზიონში — ლომიძე კალინინგრადის „ბალტიკაში" ისინჯება და როგორც ჩანს, მალევე გააფორმებს კონტრაქტს.

„ბალტიკას" მწვრთნელმა ლეონიდ ტკაჩენკომ განაცხადა, მარცხენა მცველი ძალიან გვჭირდებაო.

**ილია ნანოზაშვილი**

# ბათუმის ბედი ინგლისში ირკვევა



**როგორი** დაფინანსება ექნება „ბათუმს" მომავალ სეზონში? ეს კითხვა კლუბის ხელმძღვანელობას, მწვრთნელებსა და ფეხბურთელებს არ ასვენებთ. „ბათუმის" პრეზიდენტი ზურაბ ჯაფარიძე ამჟამად ინგლისშია კლუბის ინვესტორთან შესახვედრად და ორ-სამ დღეში ჩამოვა.

სავარაუდოდ, ზღვისპირელთა გუნდს რამდენიმე ფეხბურთელი დააკლდება და მათ შორის, შესაძლოა, მცველი გიორგი ონიანიც. მას „ბათუმთან" კონტრაქტი დეკემბრამდე აქვს, მაგრამ სხვა ქართული და უცხოური გუნდების ვარიანტები მაქვსო, გვითხრა. ონიანიც და მისი თანაგუნდელებიც ჯაფარიძის ჩამოსვლას ელიან.

**ლუკა თალაკვაძე**

# ხოჯავა უკვე სამარაშია

## გოჩას კრილია დღე-დღეზე წყდება

**21 წლის** გოჩა ხოჯავა სამარის „კრილია სოვეტოვშია" და მისი საკითხი, შესაძლოა, ხვალ-ზეგ გადაწყდეს — ხოჯავა რუსული პრემიერლიგის ამ გუნდში გასინჯვაზეა.

ხოჯავა საქართველოს ეროვნულ ჩემპიონატში 2003-04 წლებში გამოჩნდა და სპეციალისტებიც აალაპარაკა. ის ახალგაზრდული ნაკრების წევრიც იყო. „თბილისის" შემდეგ თამაშობდა კვიპროსულ „ანართოსისში", მერე რუსულ „როსტოვში" გადავიდა, სადაც საქმეები ვერ აეწყო და აწ დასრულებული სეზონის მეორე წრე „თბილისში" ითამაშა.

ამ ნიჭიერ გამთამაშებელს ახლა „კრილიაში" სინჯავენ, სადაც უკვე თამაშობს ერთი ჩვენებური — დავით მუჯირი. როგორც შევიტყვეთ, ხოჯავას „კრილიაში" დარჩენა-არდარჩენა მომავალ კვირაში გადაწყდება.

**დავით თავართქილაძე**



# განძის მაძიებელი

## მანუჩარ მარკოიშვილი ტიტულებს აგროვებს

*20 წლისაა და უკვე იმდენი ტიტული აქვს მოგებული, თუ გონება არ დაძაბა, ეგებ ყველა ვერც გაიხსენოს. მანუჩარ მარკოიშვილმა მედლების კოლექციას კიდევ ერთი ოქრო შემატა — ორი დღის წინ სლოვენიის ჩემპიონი გახდა. მისმა „ოლიმპიამ“ დაძაბული ფინალის მეხუთე, გადამწყვეტ მატჩში დამაჯერებლად მოუგო თანაქალაქელ „სლოვანს“ და ტიტული დაიცვა. მარკოიშვილმა ფინალური სერიის ხუთივე შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა და განსაკუთრებით კარგად პირველ და ბოლო, საჩემპიონო მატჩში ითამაშა. მანუჩარს გამარჯვების მეორე დღეს დავურეკეთ ლიუბლიანაში, როცა ოლიმპიელები საჩემპიონო პიკნიკზე იყვნენ...*



— მთელი გუნდი „ოლიმპიას“ დარბაზთან შევიკრიბეთ და აქვე გაშენებულ პატარა ნაძვნარში პიკნიკს ვაწყობთ. ჩემპიონები გავხდით და თავს დროის გატარების უფლება მივეცით.

— ალბათ გულიანად მოულხენთ...

— ალკოჰოლი არ გვაქვს, მხოლოდ ნატურალური წვენები და მინერალური წყალი მოვიმარაგეთ. დალევის დღე წუხელ იყო, ჩემპიონები რომ გავხდით.

— ბანკეტი გქონდათ?

— არა, უბრალოდ მთელი გუნდი ბარში წავედით და გვიანობამდე გავერთეთ. ვისაც უნდოდა, დალია კიდეც, ზოგიერთი სახლში გათენებულზე მივიდა. ჰოდა, თუ ვინმე ნაბახუსევია, ამ პიკნიკზე წვენებით გამოვიყვანთ.

— დროის სატარებლად ნამდვილად გაქვთ საქმე. „სლოვანს“ ურთულესი ფინალი მოუგეთ...

— მართლაც ძალიან დაძაბული სერია გამოვიდა. შარშან „სლოვანი“ საკმაოდ იოლად დავამარცხეთ, ამჯერად კი ჩვენს მეტოქეს ძალიან ძლიერი გუნდი ჰყავდა და უმეტესობა მის ჩემპიონობას ვარაუდობდა.

— მოკლედ როგორ შეაფასებ ფინალურ სერიას?

— რაც „ოლიმპიაში“ ვარ, ამაზე დაძაბულ საპლეიოფო სერიაში არ მითამაშია. იმდენად ნერვიული მატჩები იყო, რომ მასპინძელმა ვერც ერთი შეხვედრა ვერ მოიგო. მოედნის უპირატესობის შენარჩუნების სურვილს მასპინძელი ფსიქოლოგიურად ვერ უძლებდა.

— ბოლო მატჩზე რას იტყვი?

— მეხუთე, გადამწყვეტ მატჩს სტუმარ-მასპინძელი აღარ ჰყავდა. თამაში „სლოვანის“ დარბაზში ტარდებოდა, მაგრამ არც ჩვენი ქომაგები იყვნენ ნაკლებად. საპირველტაიმო დაძაბულობის შემდეგ ყველანაირი ბარიერი დავძლიეთ და დიდებული მესამე მეოთხედი ვითამაშეთ, რამაც გაგვამარჯვებინა კიდეც.

— საკუთარი თამაშით კმაყოფილი ხარ?

— მთავარი ისაა, რომ ჩემპიონები გავხდით და საკუთარ თამაშს ნაკლებ ყურადღებას ვაქცევ. „ოლიმპიას“ კოზირი ყოველთვის გუნდურობა იყო და მეც ამ პრინციპით ვარ გაწყობილი. შემეძლო, უკეთესად მეთამაშა, მაგრამ არა უშავს — რაკი მოვიგეთ, უკმაყოფილო არავინაა.

— ეგ მართალია, მაგრამ საინტერესოა, რამდენად მნიშვნელოვანია შენი წილი „ოლიმპიას“ ჩემპიონობაში...

— პირველ ფინალურ მატჩში 11 ქულა ჩავაგდე, ბოლოში 8, დანარჩენებში 5-6 ვაგროვებდი. უფრო მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ მწვრთნელს დაცვაში ჩემი უომედებოდა, და როცა გადამწყვეტი მომენტი დადგა, მეც გავუმართლე. საჩემპიონო მატჩი ხუთეულში დავიწყე და მის მესამე მეოთხედში, როცა ფაქტობრივად გადაწყდა ჩვენი გამარჯვება, მოედანზე ვიმყოფებოდი. 6 სროლიდან 4 ჩავაგდე და ახლა თქვენ განსაზღვრეთ, რა წვლილი მიმიძღვის ჩემპიონატში.

— ეს შენი მერამდენე ჩემპიონობაა და რა ადგილს დაიკავებს ის შენს კარიერაში?

— „ბასკოში“ ორჯერ გავმხდარვარ საქართველოს ჩემპიონი, ორჯერ „ოლიმპიაში“ და ერთხელაც „ბენეტონის“ შემადგენლობაში სერია A მოვიგე. „ოლიმპიაში“ ეს ბოლო ჩემპიონობა ალბათ ყველაზე მნიშვნელოვანია ჩემთვის, რადგან მოედანზე უწინდელზე მეტ დროს ვატარებდი, თუ, რა თქმა უნდა, „ბასკოში“ თამაშს არ ჩავთვლით. ჩემპიონობის გარდა არაერთი თასი და სუპერთასი მაქვს მოგებული „ბენეტონსა“ და „ოლიმპიაში“, გერმანულ „მიტელდოიჩერში“ კი ფიბა-ევროპის თასსაც გავუსინჯე გემო.

— საკლუბო წარმატებები კი კარგია, მაგრამ ნაკრები?

— ძალიან დიდი იმედით ვხვდები სანაკრებო მატჩებს. მანამდე ახალგაზრდულშიც მიწევს თამაში და ეს კარგი გაკვეთილი იქნება ეროვნულისთვის. სამწუხაროდ, გასულ სექტემბერში ვერ ვითამაშე ტრავმის გამო, ახლა კი ნაკრებს გაორმაგებული ენერგიით ვუბრუნდები.

**ირაკლი პერტაია**

---

The Finals

8 ივნისი. დალასი. „ამერიკან ეალაინზ სენთერი“. 20 076 მაყურებელი

### დალასი 1:0 მაიამი

# პატარა მტერი

## დიდკაცების საქმე ტერიმ გაარჩია



AFP დალასიდან

**დალასი 90:80 მაიამი**

*23:31 23:13 24:24 20:12*

**დალასი:** ტერი (32), გრიფინი (8), ჰოვარდი (10 ქულა, 12 მოხსნა), ნოვიცკი (16 ქულა, 10 მოხსნა), დიოპი; სტეკჰაუსი (13), დამპიე (8), ვან ჰორნი (2), ჰარისი (1), დანიელსი

**მაიამი:** უილიამსი (12), ვეიდი (28), უოლკერი (17), ჰასლემი (4), ონილი (17); პოუზი (2), პეიტონი, მურნინგი

ვერ მოგახსენებთ, შეერთებული შტატების მოსახლეობის რამდენმა მეათედმა პროცენტმა გაიგო ბებერ კონტინენტზე საფეხბურთო მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყების ამბავი, მაგრამ იმას კი წყალი არ გაუვა, რომ ნბა-ს პლეიოფის ფინალის შესახებ ყველამ შეიტყო, ვინც გაზეთში თუნდაც ცალი თვალით ჩაიხედა და ტელევიზორს მხოლოდ სერიალების სანახავად არ რთავს (ამერიკელებს სერიალებიც თავისი აქვთ, სპორტის სახეობებისა არ იყოს). დიდმა და პატარამ გაიგო, რომ დიდ ფინალში პირველად გასულმა „დალას მავერიკსმა“ 90:80 დაამარცხა ასევე ფინალის დებიუტანტი, „მაიამი ჰითი“ და 1:0 დაწინაურდა.

მაგრამ დრამატული გახსნის მატჩის მომლოდინეთ — თუ შედეგით კმაყოფილებამოგვრილ დალასელებს არ ჩავთვლით — იმედი გაუცრუვდათ, რაკილა კაშკაშა ვარსკვლავებმა — დირკ ნოვიცკიმ, დუეინ ვეიდმა და შაკილ ონილმა არცთუ ელვარედ ანათეს, მატჩის მიწურულს კი სულ ჩაქრნენ, რაც პირველადი შეფასებით სადებიუტო მღელვარებას მიეწერა. ვეიდმა მხოლოდ 25 წუთი ითამაშა და არცთუ ცოტა, 28 ქულა მოაგროვა, მაგრამ აქედან მხოლოდ სამი გააკეთა გადამწყვეტ მეოთხედში და მთლიანობაში მან ვერც ვერაფერი გადაწყვიტა. მერე გაირკვა, რომ მცირედ უტკენია ფეხი.

მატჩის გმირი კი შეიქნა „დალასს“ მეორე ლიდერი ჯისონ ტერი, ვინც მეოთხე 12-წუთეულში მარტომ აჯობა „მაიამის“ და „დალასს“ პირადად ჩაუწერა გამარჯვება. მაშინ, როცა ყველა ტიტანთა რკენას — 213-სანტიმეტრიანი ნოვიცკისა და 216-სანტიმეტრიანი შაკილ ონილის დუელს ელდა, 188-სანტიმეტრიანმა ტერიმ, ყველასდა გასაკვირად, ყველა და ყველაფერი გადაფარა. თუმც თავად მატჩის გმირს საკუთარი 32-ქულიანი მონაგარი დიდად არ აკვირვებს, ამბობს — წლეულს „სან ანტონიოსაც“ ჩავუგდე ამდენი და ეს შემთხვევით რომ არ გამომივიდა, აგერ, დღეს დავამტკიცეო. და იქვე დასძინა, თუ სიმართლე გნებავთ, პირადად მე დასამტკიცებელი არაფერი მაქვს, ისედაც ვიცი, თამაში რომ შემიძლიაო.

ტერიმ მეოთხე მეოთხედში 12 ქულა ჩააგდო, ანუ იმდენი, რამდენიც მთლიანად „მაიამიმ“. დანარჩენი 20 ქულა მან პირველ ტაიმში მიითვალა, თუმცა შეხვედრის დასაწყისი მაინც მაიამელებისა იყო.

მილიონობით დალასელის გულგასახეთქად, სტუმრებმა მატჩი გაცილებით მხნედ და მძლავრად დაიწყეს. ვეიდის მეცადინეობით, ერთხანს 11 ქულითაც გაიჭრნენ და პირველი მეოთხედი 9 ქულით მოიგეს. ვეიდს უკვე 13 ქულა მოექაფა, მაგრამ დარჩენილ 36 წუთში იმდენად კარგად უმეურვეეს დალასელებმა, რომ მაიამელთა პირველი მექულე კანტიკუნტად ახერხებდა ზუსტ სროლას და მწვრთნელი პატ რაილი იძულებული გახდა, რამდენჯერმე რიგგარეშედ გამოეხმო მოედნიდან. ვერც შაკილ ონილი დიდკაცობდა, დალასელთა დაცვა საიმედოდ უხშობდა მასაც და მისანებსაც ქულების გროვების წყაროს, მასპინძელთა შეტევებს კი ნოვიცკის ხელმრუდობის ჟამს ტერი უძღვებოდა და „მავერიკსმა“ უკვე მეორე მეოთხედში მოახერხა წინ გასვლა.

გამოჩნდა ფინალის პირველი სისხლიც. დევშაკმა თითქოს შემთხვევით ხელი სთხლიშა „დალასის“ საუკეთესო სათადარიგო ჯერი სტეკჰაუსს და ცხვირი გაუტეხა.

მოკლედ, „მაიამიმ“ ბრწყინვალე საწყისი მეოთხედის შემდეგ ინერციითღა გააგრძელა მატჩი და ბოლოსკენ ვერცხლისწყალა ჯეისონ ტერის წყალობით ტეხასელთა გასახარად თეთრი ბაირაღიააფრიალა. ნამატჩევს მიმომხილველთა ზომიერი კრიტიკა შეხვდა შაკილ ონილს, ვინც სულ ჩააფლავა საჯარიმოები — 9 ცდიდან მხოლოდ ერთი გამოიყენა. 10 საჯარიმოდან 4 გააცუდა ვეიდმა, სხვა მაიამელებს კი ერთიც არ უსვრიათ, იმდენად უგერგილოები იყვნენ შეტევაში, ხოლო დალასელთა დაცვა კი შეუცდომელი.

ფინალური სერიის მეორე მატჩსაც დალასი მასპინძლობს 11 ივნისს.

**კოტე ყორშია**

## როლან გაროსი 2006. პარიზი. თიხნარი. საპრიზო 8 137 652 $





# ერთი ბარიერი, ერთი მატჩი...

## ასრულდა: ორნი კორტზე და ბოლოს მაინც ერთი დარჩება

9 ივნისი

**ნახევარფინალი**

**კაცები**

**როჯერ ფედერერი** (1, შვეიცარია) — დავიდ ნალბანდიანი (3, არგენტინა) 3:6 6:4 5:2 (უარი); **რაფაელ ნადალი** (2, ესპანეთი) — ივან ლიუბიჩიჩი (4, ხორვატია) 6:4 6:2 7:6

ერთი ბარიერი, ერთი მატჩი... მოკლედ, ერთი ნაბიჯიც და როჯერ ფედერერი „დიდ სლემს“ შეაგროვებს. მართალია, ეს ეგრეთ წოდებული „ნაღდი დიდი სლემი“ არ იქნება — ასე ეძახიან, როცა ოთხივე დიდ ტურნირს ერთი სეზონის განმავლობაში იგებს ჩოგბურთელი, მაგრამ მას შემდეგ, რაც ეს ტურნირები სხვადასხვა საფარზე ტარდება, ჩოგბურთის ფედერაციამ განაცხადა, „დიდ სლემს“ იმასაც ჩავუთვლით, ვინც ამ ოთხ ბობოლა შეჯიბრს ერთი კალენდარული წლის განმავლობაში მოიგებსო. „მხიარული როჯერი“ ამჟამად უიმბლდონის, აშშ-ისა და ავსტრალიის ღია პირველობების მოქმედი ჩემპიონია და „დიდი სლემის“ შეგროვებას „როლან გაროსიღა“ უკლია. ჰოდა, შვეიცარიელი ამჯერად ფინალშია და მისი მოგების შემთხვევაში...

ბევრს ეგონა, რომ ფინალში გასასვლელად ფედერერს გვარიანად ოფლის ღვრა მოუწევდა. ნახევარფინალში ხომ ალპელი მისთვის ერთ-ერთმა ყველაზე უხერხულ მეტოქეს, დავიდ ნალბანდიანს ხვდებოდა. არგენტინელი კი ერთადერთია, რაფაელ ნადალის გარდა, ვისაც შვეიცარიელთან ურთიერთშეხვედრების დადებითი ბალანსი აქვს.

თამაშიც ისე დაიწყო, რომ მაყურებელი თვალებს არ უჯერებდა — ასეთი დაბნეული ფედერერი, ალბათ, მხოლოდ კარიერის განთიადზე თუ უნახავს ვინმეს. სამაგიეროდ, ნალბანდიანს ყველაფერი გამოსდიოდა კორტზე და მალე სეტიც მოიგო, მეორე პარტიაში კი 3:0 დაწინაურდა.

აი, აქ კი „ჩაირთო“ მანამდე გამოთიშული ფედერერი და კორტზე ქარიშხალი დაიწყო — შვეიცარიელი თითქმის ყველა ბურთს ეწეოდა, ძალიან მწვავედ თამაშობდა და რიგ მომენტებში სასწაულებს ჩადიოდა. „მხიარული როჯერის“ შემხედვარე, ტრიბუნებზე ბლომად მყოფი არგენტინელებიც ვერ იკავებდნენ ოვაციებს. ეგ კი არა და, ერთი-ორჯერ თვითონ ნალბანდიანიც ტაშისკვრით შეხვდა მეტოქის მიერ სასწაულებრივად მოგებულ გათამაშებას.

თუმც ეს სანახაობა დიდხანს აღარ გაგრძელებულა — ნალბანდიანი სულ უფრო ცუდად თამაშობდა, რისი მიზეზიც ტრავმა ყოფილა და როცა არგენტინელი მიხვდა, რომ წინააღმდეგობას აზრი აღარ ჰქონდა, თამაშის გაგრძელებაზე უარი თქვა.

...ერთი ბარიერი, ერთი მატჩი და რაფაელის ნადალის სათიხნარო რეკორდი ზედიზედ სამოც გამარჯვებამდე ავა. გუშინ ჯადოესპანელმა შანსი არ დაუტოვა ხორვატ ივან ლიუბიჩიჩს და ერთდროულად ახდა წინასწარმეტყველებაცა და სურვილიც — ასეთ ფინალს ვვარაუდობდით, ასეთი ფინალი გვსურდა და მივიღეთ კიდეც — ხვალ „როლან გაროსის“ ცენტრალურ კორტზე თანამედროვეობის ორი საუკეთესო ჩოგბურთელი დაეტაკება ერთმანეთს და მათ შორის მოგებული საჩოგბურთო ისტორიაში ახალ, დიდ ფურცელს გადაშლის.

**ჩაჩა ლომაყშვილი**



# ბელგრადულ ევროპამდე პარიზული მსოფლიოა

**ევროპის** ჩემპიონატზე ორი მედლის მომგებ საქართველოს ნაკრებს გარჯა ამ დღეებში ძიუდოს ევროფედერაციამ დაუფასა. შოთა ხაბარელის შვიდეული 28 ოქტომბერს ბელგრადში დაპატიჟეს, ევროპის გუნდურ ჩემპიონატზე. ევროფედერაციამ ფინეთის გუნდური შედეგებით ხუთი საუკეთესო ნაკრები გამოავლინა და წინასწარ ცნობილ სამეულს დაამატა.

საქართველო ტამპერეში მესამეზე გავიდა. რუსეთსა და ბრიტანეთს ჩამორჩა, უკან კი გერმანია და საფრანგეთი მოიტოვა. სერბული ტატამი ადრევე გაინაღდეს მასპინძლებმა, შარშანდელმა ჩემპიონმა ისრაელმა და მეორეადგილოსანმა უნგრეთმა. უკვე ცნობილია ტურნირის სქემაც. მეოთხედფინალურ წყვილებს კენჭისყრა დაადგენს. გამარჯვებული ოთხეული ოლიმპიური სისტემითვე განაგრძობს ოქროსთვის ბრძოლას, წაგებულები კი რეპეშაჟში გადაერთვებიან.

ევროპის გუნდური პირველობაზე გამოსვლის უფლება ჩვენმა ძიუდოისტებმა ახლაღა მოიპოვეს, მაგრამ ქართული ფედერაციისა და სპორტის ჩინოსნებმა ჯერ კიდევ სეზონის დაწყებამდე შეიტანეს სახარჯთაღრიცხვო სიაში.

ბელგრადულ ევროპამდე 16-17 სექტემბერს, პარიზში მსოფლიოს გუნდური ჩემპიონატი გაიმართება. შეგახსენებთ, რომ საქართველოს ნაკრებმა გუნდურად ყველაზე კარგად 2002-2003 წლებში იჭიდავა. ჩვენები ორჯერ გახდნენ ევროპის ჩემპიონები, ხოლო მსოფლიოზე ფინალში იაპონიასთან დამარცხდნენ.

**ოთარ მაღლაკელიძე**



## 58-ე კრიტერიუმ დოფინი ლიბერე. 4-11 ივნისი

# ვანტუს მთა მენშოვს დანებდა

58-ე კრიტერიუმ დოფინი ლიბერეს მესამე ეტაპი, 42-კილომეტრიანი ინდივიდუალური რბოლა ამერიკელთა სრული ტრიუმფით დასრულდა. პირველი ადგილი პროლოგის მომგებმა დეივ ზაბრისკიმ დაიკავა და მის უკან კიდევ სამი იანკი განლაგდა — ფლოიდ ლენდისი გამარჯვებულს 53 წამით ჩამორჩა, ლევი ლეიფჰემერი წუთითა და 17 წამით, ხოლო ჯორჯ ჰინკეპი წუთითა და 35 წამით.



დენის მენშოვი

ინდივიდუალური რბოლის შემდეგ საერთო ჩათვლაში ლიდერობა ბელგიელმა ფილიპ ჟილბერმა შეინარჩუნა, რომელიც 2 წუთსა და 47 წამს უგებდა ზაბრისკის, ხოლო 3 წუთსა და 48 წამს — ლენდისს, მაგრამ მეოთხე ეტაპის შემდეგ ლიდერთა სამეული სრულად შეიცვალა.

ამ, 186-კილომეტრიანი ეტაპის ფინიში ლეგენდარულ ვანტუს მთაზე იყო და მისმა ალმართებმა საერთო ჩათვლის ცხრილი რადიკალურად შეცვალა. ვანტუს მთის ურთულეს გამოცდას ყველაზე უკეთ რუსმა დენის მენშოვმა და ფრანგმა კრისტოფ მორომ გაუძლეს.

მენშოვი ცდილობს დაამტკიცოს, რომ ტყუილად არ ატარებს „ვუელტას“ ჩემპიონის სახელს და ვანტუს მთაზე მას ეს ბრწყინვალედ გამოუვიდა კიდეც — რუსმა ქანცგამცლელი, თითქმის ხუთსაათიანი რბოლის ფინიშზე მცირედით აჯობა მოროს და ველოსპორტის სამყაროში ერთ-ერთი ყველაზე პრესტიჟული და ურთულესი მთა დაიპყრო.

მენშოვსა და მოროს 15 წამით ჩამორჩა ლეიფჰემერი და ამის წყალობით ამერიკელი საერთო ჩათვალშიც გალიდერდა. მენშოვი მას 28 წამით ჩამორჩება, ხოლო ყოფილი ლიდერი ჟილბერი მესამეა წუთი და 8 წამი ჩამორჩენით.

| | |
|---|---|
| **მესამე ეტაპი. ბურჟ დე პეჟი. 43 კმ (ინდივიდუალური რბოლა)** | |
| 1. დეივ ზაბრისკი (აშშ, CSC) | 52 წუთი, 48 წამი |
| 2. ფლოიდ ლენდისი (აშშ, ფონაკი) | + 53 წმ. |
| 3. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, გეროლტაინერი) | +1 წთ. 17 წმ. |
| **მეოთხე ეტაპი. ტენ ლერმიტაჟი — მონ ვანტუ. 186 კმ.** | |
| 1. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | 41 სთ. 50 წთ. 37 წმ. |
| 2. კრისტოფ მორო (საფრანგეთი, AG2R) | იგივე დრო |
| 3. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, გეროლშტაინერი) | +15 წმ. |
| **საერთო ჩათვლა** | |
| 1. ლევი ლეიფჰემერი (აშშ, გეროლშტეინერი) | 15 სთ. 47 წთ. 53 წმ. |
| 2. დენის მენშოვი (რუსეთი, რაბობანკი) | +28 წმ. |
| 3. ფილიპ ჟილბერი (ბელგია, ფრანსეზ დე ჟუ) | +1 წთ. 8 წმ. |



Formula 1

## მერვე ეტაპი ბრიტანეთის დიდი პრიზი

# სილვერსტოუნი

სილვერსტოუნი, 11 ივნისი



**ტრასის სიგრძე** ---------------------------------------- 5.141 კმ

**რბოლის დისტანცია** ------------------------ 60 წრე — 308.355 კმ

*რბოლა დაიწყება თბილისის დროით 15 საათზე*

**შარშან:** 1 მონტოია (მაკლარენი); 2 ალონსო (რენო); 3 რაიკონენი (მაკლარენი); 4 ფიზიკელა (რენო); 5 ბატონი (B.A.R.); 6 მ. შუმახერი (ფერარი); 7 ბარიკელო (ფერარი); 8 რ. შუმახერი (ტოიოტა)

**წრის რეკორდი:** 2004 — მ. შუმახერი (ფერარი) 1.18,739 (235,1კმ/სთ)

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაб წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge